პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 206 (9674) | სამშაბათი, 1 სექტემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს, 1 სექტემბერს ჩვენი ქვეყნის სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობა იწყება.

საბჭოთა ადამიანები სულით და გულით უსურვებენ მასწავლებლებს, უმაღლესი სკოლის მუშაკებს, მთელ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას სასახელო წარმატებებს ახალ სასწავლო წელს!

ახალი სასწავლო წელი

დღეს ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობა განახლდება. იწყება ახალი, 1953-54 სასწავლო წელი.

სახალხო განათლება ჩვენში ყოველწლიურად სულ უფრო ფართო გაქანებას იღებს. ჩვენი სახელმწიფო არ იშურებს სახსრებს ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლებისათვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის შედეგად სკოლებში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ ახალგაზრდები აღზრდონ მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით შეიარაღებული, ჩაუნერგონ მათ უანგარო სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, გაუნმტკიცონ რწმენა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიადი იდეებისადმი.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრი სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი უზრუნველყოფილია კარგად მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიებით, მდიდარი ბიბლიოთეკებით, სასპორტო დარბაზებითა და მოედნებით, ახალი სასკოლო ინვენტარით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ დასახა სახალხო განათლების შემდგომი აღმავლობის ამოცანები. ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ხორციელდება საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონი — 8-წლიანი სკოლის ფარგლებში სოფლად და საშუალო სკოლის ფარგლებში ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში. წელს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონი საშუალო სკოლის ფარგლებში ხორციელდება რესპუბლიკის 12 ქალაქში — თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სუხუმში, ფოთში, ჭიათურაში, ზესტაფონში, ტყვარჩელში, გორში, რუსთავში, სტალინირსა და ტყიბულში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი ზრუნვის პასუხად საქართველოს სკოლებში გარკვეული მიღწევებია მოპოვებული მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში. ბევრი სკოლა უზრუნველყოფილია მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით, რომლებიც კეთილსინდისიერად ემსახურებიან ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას. სწორედ ეს არის იმის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომ სკოლებში საგრძნობლად ამაღლდა მოსწავლეთა ცოდნის დონე. მათი ცოდნა უფრო მკვიდრი, მტკიცე, ღრმა და საფუძვლიანი გახდა. 1952-53 სასწავლო წელს 13.416 კურსდამთავრებულიდან 1.602 მოსწავლეს ოქრის და ვერცხლის მედალი მიენიჭა, ე. ი. 560-ით მეტი, ვიდრე წინა წელს.

სახალხო განათლების მუშაკებისა და მასწავლებლების წინაშე დგას ამოცანა — უზრუნველყონ სახალხო განათლების შემდგომი აღმავლობა, გაუმჯობესონ მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლების ხარისხი. სკოლა მოწოდებულია აღზარდოს არა მარტო განათლებული, არამედ ჯანმრთელი, მხნე და სიცოცხლით სავსე, ნებისყოფით მტკიცე ახალგაზრდობა. ამ მხრივ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახალხო განათლების ორგანოებს და მასწავლებლებს, რომლებმაც უნდა გაითვალისწინონ გასულ სასწავლო წელს სკოლების მუშაობაში დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებანი. ცნობილია, რომ მთელ რიგ სკოლებში დაიწია მოსწავლეთა წარმატების დონემ, გაიზარდა მეორეწლიანების რიცხვი. ეს ფაქტი მოწმობს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და სახალხო განათლების ორგანოების მხრივ ხელმძღვანელობის სერიოზულ შესუსტებას.

არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება საყოველთაო სავალდებულო სწავლება რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში. წელს მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა მხოლოდ 93,9 პროცენტით შესრულდა და ჯერ კიდევ სკოლის გარეთ მოსწავლეთა საგრძნობი რაოდენობაა დარჩენილი. სახალხო განათლების ორგანოების და სკოლების პედაგოგთა კოლექტივების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა მთლიანად ჩაბან სწავლებაში სკოლის ასაკის ყველა ბავშვი.

პარტიის XIX ყრილობის მიერ სოციალისტური კულტურისა და სახალხო განათლების შემდგომი აღმავლობის დასახული ამოცანებიდან ერთ-ერთი მთავარია პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლის განხორციელება. ეს კი მოითხოვს სწავლების ხარისხის საგრძნობ გაუმჯობესებას, სწავლებაში ფორმალიზმის აღმოფხვრას, მოსწავლეებში თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების ჩვევის აღზრდას.

იმისათვის, რომ მკვეთრად გაუმჯობესდეს მოსწავლეთა წარმატება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებში რუსული ენის სწავლებას. ამიტომ საჭიროა სახალხო განათლების ორგანოებმა სკოლები უზრუნველყონ რუსული ენის კვალიფიციური პედაგოგებით, ყოველდღიურად იზრუნონ იმისათვის, რომ მოსწავლეს შექმნილი ჰქონდეს ყველა პირობა დიდი რუსი ხალხის ენის შესასწავლად.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო აშკარად არასაკმაოდ ზრუნავს ახალი სკოლების მშენებლობისათვის, ცუდად უწევს კონტროლს სამშენებლო ორგანიზაციებს, ვერ უზრუნველყოფს იმ თანხების ათვისებას, რომლებიც სახელმწიფომ გაიღო სასკოლო შენობების ასაგებად. სახალხო განათლების ორგანოებმა ვერ აითვისეს რესპუბლიკური ბიუჯეტით 14.827 ათასი მანეთი და ადგილობრივი ბიუჯეტით 19.723 ათასი მანეთი, სულ 34.550 ათასი მანეთი. ქალაქ თბილისში სკოლების მშენებლობაზე გათვალისწინებული 4.556 ათასი მანეთიდან 7 თვის განმავლობაში შესრულებულია 340 ათასი მანეთის სამუშაო. ასეთივე დიდი ჩამორჩენაა სკოლების მშენებლობის მხრივ ქალაქებში ქუთაისსა და ბათუმში, თელავის, ლაგოდეხის, ქარელის, ხობის, ზნაურის და მთელ რიგ სხვა რაიონებში. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ვალდებულია მიმდინარე წლის ბოლომდე მიაღწიოს იმას, რომ სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული კაპიტალურ დაბანდებათა თანხები მთლიანად ათვისებულ იქნას.

ადგილობრივმა საბჭოებმა, სკოლის პარტიულმა ორგანიზაციებმა და პედაგოგთა კოლექტივებმა ყველა პირობა უნდა შეუქმნან ახალგაზრდა მასწავლებლებს პედაგოგიური გამოცდილების მისაღებად, გამოიჩინონ ზრუნვა მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის.

ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა უდიდესი სახელმწიფოებრივი საქმეა. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ სახალხო განათლების ორგანოებს მასწავლებლების იდეურ აღზრდასა და სკოლების მუშაობის გაუმჯობესებაში. ყოველდღიურად ეხმარებოდე სკოლას, ეს ნიშნავს კარგად გესმოდეს მისი როლი მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდაში. ადგილობრივი პარტიული ორგანოების ვალია განამტკიცონ სკოლების პარტიული ორგანიზაციები, ღრმა ინტერესს იჩენდნენ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობისადმი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალ შენობათა გახსნის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალ შენობათა მშენებლების პატაკი, მთავრობის კომისიის დასკვნა, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოხსენება და დაადასტურა, რომ შესრულებულია მთავრობის დავალება ლენინის გორაზე უნივერსიტეტის მთავარ შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დარგში.

1949-1953 წლებში მოსკოვში, ლენინის გორაზე აგებულია:

მოსკოვის უნივერსიტეტის მთავარი, 32 სართულიანი შენობა 1.370 ათასი კუბური მეტრი საერთო მოცულობით, რომელშიც მოთავსებულია გეოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტები, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის აუდიტორიები, საერთო საუნივერსიტეტო კათედრები, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, საქტო დარბაზი 1.500 ადგილით და უნივერსიტეტის სხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებანი. ფიზიკის ფაკულტეტის შენობა 274,6 ათასი კუბური მეტრი მოცულობისა; ქიმიის ფაკულტეტის შენობა 267,7 ათასი კუბური მეტრი მოცულობისა; საცხოვრებელი შენობები სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის — სულ 5.754 ოთახი და 184 ბინა პროფესორებისა და მასწავლებლებისათვის; 42 ჰექტარი საერთო ფართობის ბოტანიკის ბაღი სათანადო ნაგებობებით; კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სასპორტო ნაგებობათა კომპლექსი.

სულ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აგებულია 27 ძირითადი და 18 მომსახურე შენობა 2.611 ათასი კუბური მეტრი საერთო მოცულობისა. უნივერსიტეტის ახალ შენობაშია 148 აუდიტორია, 1000-ზე მეტი სამეცნიერო-სასწავლო ლაბორატორია, აგრეთვე ბიბლიოთეკის შენობა, რომელიც ნავარაუდევია 1.200.000 ტომისათვის.

უნივერსიტეტის ლაბორატორიები და კაბინეტები იჭურვება უახლესი სასწავლო-სამეცნიერო მოწყობილობით — ელექტრონული მოწყობილობა, სპეციალური ოპტიკური ხელსაწყოები და რენტგენის აპარატები, კამერები პირობითი რეფლექსების, ნივთიერებათა გაცვლის პროცესების გამოსაკვლევად და სხვადასხვა მოწყობილობა მექანიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოლოგიის, ასტრონომიისა და სხვ. დარგში სასწავლო მუშაობისა და სამეცნიერო გამოკვლევებისათვის, რომელიც შეეფერება მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნებს.

განხორციელებულია მოსკოვის უნივერსიტეტის შენობების მიდამოებში ტერიტორიების კეთილმოწყობა და გამწვანება. უნივერსიტეტის მისადგომებზე გაყვანილია მოასფალტებული გზები და აგებულია ახალი ხიდები.

ქარხნებმა, სამინისტროების საპროექტო, სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა და სამონტაჟო ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა შეასრულეს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-საკვლევი მუშაობისათვის ახალ სპეციალურ სახეობათა მოწყობილობის დასაპროექტებლად და დასამზადებლად, ლითონკონსტრუქციების, მექანიზმებისა და მოწყობილობის დასამზადებლად და დასამონტაჟებლად, აგრეთვე საჭირო საშენი მასალებით უნივერსიტეტის შენობების მშენებლობის მოსამარაგებლად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალ შენობათა საექსპლოატაციოდ გადაცემით იქმნება ჩვენი ქვეყნის მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების ფართო შესაძლებლობანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი შენობები გაიხსნას 1953 წლის 1 სექტემბერს.

2. დავალოთ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს უზრუნველყონ 1953 წლის 1 სექტემბრიდან უნივერსიტეტის ახალ შენობებში ფიზიკის, ქიმიის, მექანიკა-მათემატიკის, გეოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტების სასწავლო და სამეცნიერო მოღვაწეობა.

უძვირფასესი საჩუქარი

დღეს ფართოდ გაიღება მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი, მრავალსართულიანი შენობის ყველა კარი.

დედასამშობლომ უძვირფასესი საჩუქარი მიუძღვნა საბჭოთა ახალგაზრდობას.

ამჟამად საბჭოთა კავშირის ორმოცამდე ქალაქში მიმდინარეობს უმაღლესი სასწავლებლებისათვის სასწავლო და საცხოვრებელი შენობების მშენებლობა, მაგრამ ყველა ამ მშენებლობათა ნამდვილ დაგვირგვინებას წარმოადგენს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალსართულიანი ანსამბლი. ის მნახველთა განცვიფრებას იწვევს არქიტექტურით, თავისი გრანდიოზულობით და ნათლად მეტყველებს ჩვენი, საბჭოთა სამშენებლო ტექნიკის დიდ მიღწევებზე.

ოთხი წლის განმავლობაში მშენებელთა მრავალათასიანი არმია, შეიარაღებული მოწინავე საბჭოთა ტექნიკით, თავდადებულ შრომას ეწეოდა, რათა შეექმნა ჩვენი ეპოქის შესაფერისი ძეგლი. მშენებლებმა ეს ამოცანა ღირსეულად შეასრულეს.

საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქი და ქარხანა მონაწილეობდა უნივერსიტეტის ახალი შენობის მშენებლობაში და ლაბორატორიების დანადგარებით და ხელსაწყოებით მის დაკომპლექტებაში.

ჩვენ, თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის კოლექტივს, წილად ვვხვდა ბედნიერება მონაწილეობა მიგველო მეცნიერების სახახლის — მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ახალი ლაბორატორიების ზუსტი ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოებით დაკომპლექტებაში.

ჩვენი კოლექტივის სახახელოდ უნდა თქვას, რომ ქარხანამ ღირსეულად შეასრულა საპატიო დაკვეთები და უკანასკნელი ორი წლის მანძილზე 14 სახელწოდების ოთხასზე მეტი ზუსტი ხელსაწყო გაუგზავნა უნივერსიტეტს.

უნივერსიტეტისათვის ჩვენ მიერ დამზადებული და გაგზავნილი ზოგიერთი ხელსაწყო, რომლებიც იხმარება მზის მოკლეტალღოვანი რადიაციის ინტენსივობის გასაზომად, როგორც, მაგალითად, აქტინომეტრები, პირანომეტრები და ალბედომეტრები, უნიკალური ხელსაწყოებია. ისინი შექმნილია საბჭოთა მეცნიერებისა და კონსტრუქტორების მიერ, ხოლო ათვისების პროცესში საგრძნობლად გაუმჯობესებულია თბილისის ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მუშა რაციონალიზატორების მიერ.

აქტინომეტრიული ხელსაწყოები მსოფლიოში მხოლოდ საბჭოთა კავშირში და კერძოდ თბილისში მზადდება საქარხნო პირობებში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თბილისის მარკის ზუსტი ხელსაწყოები მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს და ასპირანტებს დაეხმარება გავლილი მასალის პრაქტიკულად დამუშავებაში და მთელი რიგი თემების მეცნიერულად გადაჭრაში.

ცნობამ უნივერსიტეტის გახსნის შესახებ ახალი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია ქარხანაში. ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის. ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 1953 წლის ანგარიშში დარჩენილი პროდუქცია სექტემბრის ბოლომდე გამოუშვას და გაუგზავნოს უნივერსიტეტის კოლექტივს. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ხელსაწყოთა ხარისხს, რათა თბილისის მარკის ზუსტი ხელსაწყოები ხარისხით და გარეგანი ხედითაც შეესაბამებოდეს ჩვენი ეპოქის ამ გრანდიოზულ ნაგებობას.

საპატიო შეკვეთებზე განსაკუთრებით თავდადებით შრომობენ ქარხნის ახალგაზრდა მუშები და ოსტატები: ა. ოდოსაშვილი, ი. ბოგდანოვი, რ. მჭედლიძე, მ. აბრამოვი, შ. ჯღარკავა, თ. გონგაძე და სხვები. ეს გასაგებიც არის: ახალგაზრდა სტახანოველები მუშაობასთან ერთად წარმატებით სწავლობენ საღამოს სკოლებში, ზოგი მათგანი მედლის კანდიდატია და გადაწყვეტილი აქვს უმაღლესი განათლება მოსკოვში, ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში მიიღოს. ამიტომ ისინი განსაკუთრებული სიყვარულით და სისათუთით ამზადებენ თვითეულ დეტალს, რათა მოსკოვში სწავლის დროს სიამაყის გრძნობით თქვან, ეს ხელსაწყო ჩემი დამზადებულიაო.

შ. ბურაბანიძე,
თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის მთავარი ინჟინერი.

ტელეფონით

თბილისი — სტალინგრადი

გუშინ შესრულდა სამი წელი, რაც გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის აგების შესახებ. 1951 წლის სექტემბრის ბოლოს გიგანტური ჰესის მშენებლობას ესტაფეტრნენ დიდი მოტოგადარბენის (თბილისი — სტალინგრადი — კალაჩი — ციმლიანსკის ჰიდროკვანძი — ზაპოროჟიე — კაბოჟკა — ჯანკოი — ქერჩი — თბილისი) მონაწილენი. მათი ერთი ჯგუფი „კომუნისტის“ რედაქციის მეშვეობით გუშინ დაუკავშირდა გაზეთ „სტალინგრადსკაია პრავდას“. ტელეფონთან მოვიდა რედაქტორის მოადგილე ამხ. საპრიკინი.

ვთავაზობთ ხაუბრის ჩანაწერს.

თბილისი — გამარჯობათ, ამხ. საპრიკინ! ორი წლის წინათ, როდესაც ჩვენ სტალინგრადში ვიყავით, ჰესის მშენებლები ემზადებოდნენ ძირითადი სამუშაოების დასაწყებად, ავებული იყო პირველი საცხოვრებელი სახლები, გაჰყავდათ რკინიგზის პირველი კილომეტრები, გარმა, ეუსჩანის კუნძულზე ჯერ ისევ ჩანდნენ გეოლოგების სამეფო კოშკებზე მოკიაფე ელნათურები. გვაინტერესებს სტალინგრადელთა წარმატებები. გთხოვთ მოგვითხროთ, თუ რა მიღწევებით ხვდებიან ისინი მშენებლობის სამი წლისთავს.

სტალინგრადი — ძალზე შორს, შორს წავიღნენ ჰიდროშენებლები. ახლა საექსპლოატაციოდ უკვე გადაცემულია მრავალი საცხოვრებელი სახლი 90 ათასი კვადრატული მეტრი ფართობით. ვოლგის დაბაში აიგო კლუბი, საავადმყოფო, აბანო, ბურის ქარხანა... გაყვანილია ათობით კილომეტრი რკინიგზის ლიანდაგი, გზატკეცილი, აშენდა ცენტრალური სარემონტო-მექანიკური ქარხანა, რამდენიმე ავტობაზა, სახელოსნოები, საწყობები და სხვა ობიექტები.

შარშანდლიდან დიდი მუშაობაა გაჩაღებული ძირითადი ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობისათვის. სულ ცოტა ხნის წინათ მექანიზატორები შეუდგნენ ელსადგურისათვის ქვაბულის გაკრას. ახლა იგი ათ მეტრზე უფრო ქვევით არის ჩასული ვოლგის დონიდან. ქვაბულში პირველად მუშაობის დაწყების საპატიო უფლება მაღალი შრომითი მაჩვენებლებით მოიპოვა ექსკავატორ „ურალეც“ № 613-ის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა კოლექტივმა, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირის ოლეგ კოშევოის სახელს ატარებს (ხელმძღვანელი ი. ნეტაევი).

თბილისი — ჰიდრომექანიზატორებიდან ვინ ისახელა თავი?

სტალინგრადი — № 501 მიწისმწოვი მანქანის ეკიპაჟმა (უფროსი პ. მალიშევი), რომელმაც ჯერ კიდევ 14 აგვისტოსათვის გაანაღდა თეორიული დავალება. იგი მუშაობს კაშხალის ქვედა მისადგომის ტრასზე, საიდანაც 12 მილიონი კუბმეტრი მიწაა ამოსაღები. მარტო მალიშევის მანქანის ეკიპაჟს ამოღებული და დამბაზე დასილული აქვს ნახევარი მილიონი კუბმეტრი გრუნტი. ამ მანქანაზე განსაკუთრებით ისახელა თავი გ. ალექსეევის ბრიგადამ, რომელმაც ცვლაში ნორმით გათვალისწინებული 500 კუბმეტრის ნაცვლად 1.400 კუბმეტრამდე აიყვანა მიწისმწოვის სიმძლავრე.

ახლო ხანში სტალინგრადის ზემოთ გამოჩნდება ჰესის გრანდიოზული შენობა, მიწის კაშხალი, რაბი, არხი, საწარმოები — მშენებელთა მთელი ქალაქი. მის ცენტრში იქნება საბჭოების სახლი და კულტურის სასახლე, პარკი, სტადიონი, წყალჯომარდობის სადგური...

ახლა, როდესაც თქვენ გესაუბრებით, ჩვენი კორესპონდენტები არიან ვოლგის გაღმა, სადაც მშენებელთა საზეიმო კრება მიმდინარეობს.

თბილისი — გმადლობთ, ამხ. საპრიკინ. მოკითხვა მეგობრებს.

სტალინგრადი — ნახვამდის, ამხანაგებო!



მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი შენობები ლენინის გორაზე.

ფოტო ნ. გრანოვსკისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი რუმინულ ენაზე

ბუქარესტი. (საკავშირო). რუმინეთის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ რუმინულ ენაზე ცალკე ბროშურებად გამოუშვა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“, „დიადი თაოსნობა“ და „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“

ლაგოდეხის რაიონმა შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა 30 აგვისტოსათვის 101,5 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 5.000 კილოგრამი პარკი.

მაიაკოვსკის რაიონმა შეასრულა მეორე გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

მაიაკოვსკის რაიონმა 29 აგვისტოსათვის 134,9 პროცენტით შეასრულა მეორე გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. პარკის დამზადება გრძელდება.

მოწინავე კოლმეურნეოგათა გამოცდილებიდან

იზრდება საზოგადოებრივი მეურნეობა—მავსებს კოლმეურნეთა შემოსავალი

★

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე გადაუდებელ ამოცანად დასახეს უახლოეს ორ-სამ წელიწადში მიაღწიონ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას სურსათის სიუხვე მოსახლეობისათვის და ნედლეულისა — მსუბუქი მრეწველობისათვის.

სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეზუთე სესიის გადაწყვეტილებებით და ამ სესიაზე საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვით აღფრთოვანებული საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები იბრძვიან იმისათვის, რომ გაადიდონ მარცვლეულის, ბოსტნეულის და ტექნიკური კულტურების მოსავალი, დაძლიონ ჩამორჩენა საზოგადოებრივ მეცხოველეობაში, ყოველმხრივ განამტკიცონ და განავითარონ საზოგადოებრივი მეურნეობა, რომელიც კოლმეურნეობის მთავარი ძალაა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის ამაღლების საწინდარია.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამ გადაუდებელ ამოცანათა განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილების, საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების, მძლავრი ტექნიკის მიღწევებისა და ნოვატორული მეთოდების პროპაგანდასა და საკოლმეურნეო წარმოებაში მათ დანერგვას.

ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ რედაქცია იწყებს წერილების ბეჭდვას მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილების შესახებ. ამ კვირდში მოთხრობილია მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის კაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის გამოცდილება საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში.

★

ციფრები და ფაქტები

⊙ ძიმითის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია 88 კომუნისტს აერთიანებს. კოლმეურნეობის 12 ბრიგადიდან 9 ბრიგადას კომუნისტები ხელმძღვანელობენ. 48 რგოლის ხელმძღვანელიდან 25 კომუნისტია.

⊙ ოცდახუთი აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე ეწევა საგიტაციო-მასობრივ მუშაობას სოფლის მშრომელთა შორის.

⊙ კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადამ, რომელსაც ვ. მგელაძე ხელმძღვანელობს, 1946 წელს ჰექტარზე მოკრიფა 2.300 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ხოლო მომდინარე წელს ჰექტარზე საშუალოდ მოკრეფს 6.000 კილოგრამს. ბრიგადას განზრახული აქვს ჩაის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 1955 წლისათვის აიყვანოს 8.000 კილოგრამამდე.

⊙ სოფელში მცხოვრები 422 კომლიდან კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შემდეგ 350 კოლმეურნემ აიგო ორსართულიანი საცხოვრებელი ოდა-სახლი. მათ შორის უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე 50-მა აიშენა კაპიტალური საცხოვრებელი ბინა.

⊙ ამ რამდენიმე ხნის წინათ დამთავრდა 250 კილოვატსაათის სიმძლავრის საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურის „ძიმითჰესის“ მშენებლობა, რომელიც 2.975.300 მანეთი დაჯდა. ელსადგური დენს აწვდის ძიმითისა და ნაგომრის კოლმეურნეობებს. ძიმითის კოლმეურნეობაში ილიჩის ნათურებით განათებულია სოფლის ცენტრი და სამასი კოლმეურნის ოჯახი. ელსადგურს მოძრაობაში მოჰყავს ორივე კოლმეურნეობის სახერხი ქარხნები. ელექტროენერგიას იყენებენ აგრეთვე საკოლმეურნეო წარმოების სხვადასხვა დარგების მექანიზაციისათვის.

⊙ საექსპლოატაციოდ გადაეცა 500 ვატის სიმძლავრის რადიოკვანძი, რომელიც მომსახურებას გაუწევს 1000 რადიოწერტილ. ამჟამად უკვე მუშაობს 400 რადიოწერტილ.

⊙ ამ დღეებში 50 კოლმეურნემ დაამთავრა სამწლიანი აგროზოოტექნიკური კურსები.

⊙ კოლმეურნეებს სოფელ შათირიდან ორი კილომეტრის მანძილზე ძიმითის სასოფლო ცენტრში გამოყავთ სასმელი წყალი, რაც 70 ათასი მანეთი ჯდება.

⊙ კოლმეურნეობა აგებს მსხვილფეხარქიანი პირუტყვის სადგომს, თხის ფერმის ფარეხს, შზამესალებისა და მინერალური სასუქების საწყობებს, მექანიზებულ სამეედლოს, ელექტროწისქვილს, ჩაის პლანტაციებში 10 თავშესაფარ ფარდულს, საფრინველეს 500 ფრთა ფრინველისათვის, მეღორეობის ფერმის ბინას, საწვავ-საცხების საწყობს, აბანოს და სხვ.

⊙ კოლმეურნეები წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ ავტომანქანის მართვას. 18 კოლმეურნემ უკვე შეისწავლა ავტომანქანის მართვა.

⊙ 1930 წლამდე სოფელში 30 წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ახლა კი ძიმითში ასამდე მკვიდრი უმაღლესი განათლებით არის, ხოლო ბევრი ამჟამად იღებს უმაღლეს განათლებას. კოლმეურნეთა 350 ბავშვი ადგილობრივ 2 დაწყებითს და 1 საშუალო სკოლაში სწავლობს, მათ 30 მასწავლებელი ასწავლის, რომელთაგან 18 ადგილობრივია.

⊙ სოფელში არსებობს კეთილმოწყობილი კლუბი, რომელიც 500 მაყურებელს იტევს. კლუბთან ჩამოყალიბებულია დრამატული, ლიტერატურული, აგრობიოლოგიური, მოჭადრაკეთა, კულინარიის წრეები. მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლში 50 კოლმეურნეა გაერთიანებული. ანსამბლი ხშირად მართავს კონცერტებს რაიონის ცენტრსა და მეზობელ კოლმეურნეობებში.

⊙ წელს კოლმეურნეობის კლუბში სპექტაკლი დადგა საგასტროლოდ მყოფმა თბილისის რუსთაველის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა.

⊙ საკოლმეურნეო კლუბთან არსებულ ბიბლიოთეკაში 3.500 ცალი წიგნია. ბიბლიოთეკას ჰყავს 300-ზე მეტი აქტიური მკითხველი, მათ შორის 160-მდე ყოველდღიური მკითხველია.



★ ★ ★

ყველა დარგი იძლევა დიდ შემოსავალს

ჩვენი კოლმეურნეობა მრავალდარგოვანი და მაღალშემოსავლიანი მეურნეობაა. საბჭოთა მთავრობამ სამუდამო სარგებლობაში გადმოგვცა 1.508 ჰექტარი მიწა, ამასთან მოგვცა გრძელვადიანი კრედიტები, რის საშუალებითაც გავაშენეთ ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები: ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, ევკალიპტი, დაფნა, ბამბუკი და სხვა, რომელთაგან მიღებული შემოსავალი ჩვენი ბედნიერი და მდიდარი ცხოვრების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს. კოლმეურნეობის შემოსავალმა ჯერ კიდევ 1940 წელს გადააჭარბა მილიონ მანეთს. ჩვენი ფულადი შემოსავალი უკანასკნელ წლებში ექვს-შვიდ მილიონს აჭარბებს, წელს კი საკოლმეურნეო წარმოებიდან 8.570.000 მანეთს მივიღებთ.

18 წელია ამ კოლმეურნეობაში ვმუშაობ. აქედან 3 წელი საკოლმეურნეო კომკავშირის ორგანიზაციის მდივნად ვიყავი, ხოლო ცხრა წელია კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ვარ. ამ ხნის მანძილზე კოლმეურნეობაში მუშაობის გამოცდილებით იმ დასკვნამდე მივედი, რომ ყველა პირობა არსებობს, რათა სოფლის მეურნეობის ყველა დარგი მაღალპროდუქტიული, მაღალშემოსავლიანი გახდეს, თუ ყოველდღიურად ვიზრუნებთ მათი განვითარებისათვის.

ადამიანები წყვეტენ ყველაფერს

საკოლმეურნეო კადრების სწორად შერჩევას და აღზრდას, შრომის სწორ ორგანიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების საქმეში. როგორც ცნობილია, საწარმოო ბრიგადის სწორ ორგანიზაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობის საქმეში, ვინაიდან საწარმოო ბრიგადა კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმაა. ამიტომ ყველა 14 ბრიგადის ხელმძღვანელებად შევარჩიეთ უნარიანი, საქმის მოყვარული, განათლებული ადამიანები. ყოველ ბრიგადას მოსავლელად მივუჩინეთ გარკვეული საწარმოო ნაკვეთები, მუშა პირუტყვი, სამეურნეო ნაგებობანი და საწარმოო საშუალებები და სწორად გავუნაწილეთ კოლმეურნეთა ძალები. ბრიგადირები უშუალოდ ხელმძღვანელობენ და ანაწილებენ სამუშაოს თავისი ბრიგადის წევრებს შორის თვითეულის უნარისა და კვალიფიკაციის მიხედვით.

ყველა სახის გეგმებს ჩვენ ვანაწილებთ ბრიგადებსა და რგოლებზე მათი ძალებისა და შესაძლებლობების მიხედვით. გეგმებს ვაცნობთ თვითეულ კოლმეურნესაც. ამის შემდეგ ბრიგადებსა, რგოლებსა და კოლმეურნეებს შორის ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. ხშირად ისინი ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ. სოციალისტური შეჯიბრების მოთავედ ყოველთვის პარტიული ორგანიზაცია გამოდის, რომელიც პერიოდულად ამოწმებს შეჯიბრების მიმდინარეობას და გამარჯვებულ ბრიგადასა და რგოლს მიაკუთვნებს ხოლმე გარდამავალ წითელ დროშას. კოლმეურნეობის გამგეობის სხდომებსა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე ვმსჯელობთ ნაკლოვანებებზე, ვსახავთ ღონისძიებებს მათი გამოსწორებისათვის.

ჩაისა და ციტრუსების მოსავლიანობა

ჩვენი კოლმეურნეობა მრავალდარგოვანია. მაგრამ ძირითადი, წამყვანი კულტურა მაინც ჩაის მეურნეობაა, რომელიც 230 ჰექტარზეა გაშენებული.

ჩაის კულტურა ჩვენმა კოლმეურნეებმა დიდად შეიყვარეს, მზრუნველობასა და მოვლა-პატრონობას არ აკლებენ მას. მოწინავე საბჭოთა აგროტექნიკური მეცნიერების გამოყენებით ერთ დროს ისეთი არაფრის მომცემი მიწები, როგორიცაა „სამთაგანი“, „დათვის ხაბუქნელა“, „ნატეხი“, „გორდელაური“, ჩაის ხავერდოვანი პლანტაციებით მოვქარგეთ და ახლა ისინი ამ ძვირფასი კულტურის უხვ მოსავალს იძლევიან.

კოლმეურნეობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ფოთოლსაკრეფი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ ვღებულობთ 4.500 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, ნაცვლად 4.000 კილოგრამისა.

როგორ ვაღწევთ წარმატებას?

— იმით, რომ ვადაზე და მაღალხარისხოვნად ვამუშავებთ პლანტაციებს, რომლებშიც ყოველწლიურად თვითეულ ჰექტარზე შეგვაქვს 150-200 კილოგრამი ფოსფორი, 1.800-2.000 კილოგრამი აზოტოვანი სასუქი, ხოლო მაღალმოსავლიან პლანტაციებში 2.500-3.000 კილოგრამი ასეთივე სასუქი. გარდა ამისა, დამატებითი ღონისძიების სახით ეწერ ნიადაგებში ყოველ ჰექტარზე შეგვაქვს 200-250 კილოგრამი კალიუმი, ვაწარმოებთ დამატებით გამოკვებას ორგანული სასუქითა და წუნწუნის საშუალებით, ვიცავთ პლანტაციის შებარვის, გასხვლის და დაავადებული ნაკვეთების წამლობის წესებს და ნიადაგი მუდამ სუფთა და ფხვიერ მდგომარეობაში გვაქვს.

მაგრამ ის ღონისძიებანი, რასაც ჩვენ ვახორციელებთ, საკმაო როდია. მოწინავეთა, პრაქტიკოს კოლმეურნეთა მდიდარი გამოცდილება გზას გვიხსნის ამ საქმეში უკეთესი მაჩვენებლებისაკენ. ამის ცოცხალი ფაქტი უამრავია. მაგალითად, იმ ბრიგადას, რომელსაც ვ. მგელაძე ხელმძღვანელობს, ჰექტარზე საშუალოდ 6.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოჰყავს, ხოლო ცალკეული ნაკვეთის თვითეულ ჰექტარზე 14.000 კილოგრამ ფოთოლს იღებს.

ჩვენს მრავალდარგოვან მეურნეობაში საპატიო ადგილი უჭირავს ციტრუსოვან კულტურებს. მართალია, 1949-1950 წლების მკაცრმა ზამთარმა დიდი ზიანი მოგვაყენა, მაგრამ ამჟამად მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორებულია. ახლა 36 ჰექტარი ციტრუსოვანი პლანტაცია გვაქვს, საიდანაც 8 ჰექტარი ლიმონის კულტურას უჭირავს. ახლა ჩვენს საზრუნავს შადგენს ის, რომ ყოველი ძირი მანდარინის ხიდან

ს. მუხაშავრია.

★ ★

მივიღოთ 1.000 ცალი, ლიმონის ხიდან — 250 ცალი, ფორთოხლის ხიდან — 300 ცალი ნაყოფი, რაც დიდად გადააჭარბებს საგეგმო დავალებას და 1955 წლისათვის გვქონდეს 50 ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაცია.

შემოსავალი თვითეულ ჰექტარზე

როგორც აღვნიშნეთ, კოლმეურნეობის ეკონომიკაში ჩაის მეურნეობა წამყვანი დარგია. მისგან წელს 7.769.000 მანეთს მივიღებთ. ჩაისა და ციტრუსების შემდეგ ჩვენთან წამყვანი ადგილი უჭირავს ტუნგოს კულტურას, რომელიც 25 ჰექტარზეა გაშენებული. ტუნგო ყოველწლიურად 80.000 მანეთ შემოსავალს გვაძლევს.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგრეთვე მეაბრეშუმეობას. ყოველწლიურად 160 კოლოფ აბრეშუმის ბურს ვკვებავთ და 7.000 კილოგრამ მაღალხარისხოვან პარკს ვაბარებთ სახელმწიფოს.

ხეხილის ბაღები და ვენახი ჩვენთან 23 ჰექტარზეა გადაჭიმული, რაც ყოველწლიურად 150.000 მანეთამდე შემოსავალს გვაძლევს. გადაწყვეტილი გვაქვს ამ კულტურების გასაშენებლად 1955 წლისათვის დამატებით ავითვისოთ 30 ჰექტარი მიწა. ამავე დროისათვის ბამბუკისა და კეთილშობილი დაფნის პლანტაცია აყვანილ იქნება 50 ჰექტარამდე. ამჟამად კი მათ 17,5 ჰექტარი უჭირავს.

ბოსტანს 1,3 ჰექტარი უჭირავს. მებოსტნეობიდან მხოლოდ 13.888 მანეთი მივიღეთ. მტკიცედ გადავწყვიტეთ არსებითად გამოვასწოროთ ამ მხრივ საქმე, მომავალ წელს ჩვენ ბოსტნის კულტურებისათვის ავითვისებთ 3 ჰექტარ ფართობს, შემდგომ წლებში კი ამ დარგს კიდევ უფრო განვავითარებთ.

მოგვყავს სიმინდიც. წელს 190 ჰექტარი სიმინდის ყანა გვაქვს და ჰექტარზე საშუალოდ 15 ცენტნერ მოსავალს ველოდებით. ამრიგად, საშუალო საკოლმეურნეო საბაზრო ფასებით რომ ვიანგარიშოთ, სიმინდის ყანები წელს 313.500 მანეთ შემოსავალს მოგვცემს. სულ კი წინასწარი მონაცემებით, 545 ჰექტარზე გაშენებული ჩაის, ციტრუსების და სხვა მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურები წელს 8.570.000 მანეთ შემოსავალს მოგვცემს, რაც საშუალოდ ჰექტარზე 16.706 მანეთს უდრის. მათ შორის აღსანიშნავია ფოთოლსაკრეფი 184 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, რომელიც 7.769.000 მანეთ შემოსავალს მოგვცემს, ე. ი. ჰექტარზე საშუალოდ 42.000 მანეთს. ჩვენ დასახული გვაქვს, რათა 1955 წელს ყოველმა ჰექტარმა საშუალოდ 47.000 მანეთი შემოსავალი მოგვცეს.

მეცხოველეობის განვითარებისათვის

მეცხოველეობას ჩვენს კოლმეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. ამჟამად 5 სახის ფერმა გვაქვს. მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას ყოველწლიურად გადაჭარბებით ვასრულებთ. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში 450 სულია, მეთხეობის ფერმაში — 134 თხა გვყავს, მეფრინველეობის ფერმაში — 700 ფრთა ფრინველი, მეფუტკრეობის ფერმაში კი — 140 ოჯახი სკა. მეცხოველეობიდან შარშან 61.249 მანეთი შემოსავალი მივიღეთ.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. ამ მიზნით წელს დავთესეთ 30 ჰექტარი საკვები კულტურები — სოია, სიმინდი და მრავალწლიანი ბალახები. შემდგომ წლებში კი ახალი ფართობის ათვისებით პირუტყვის საკვებ კულტურებს 50 ჰექტარზე დავთესავთ. ამ ღონისძიებათა გატარებით ვვარაუდობთ უახლოეს 2-3 წელიწადში მეცხოველეობა ჩვენს კოლმეურნეობაში მაღალპროდუქტიულ დარგად ვაქციოთ.

აღმავლობის გზით

როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობა ყოველწლიურად აღმავლობის გზით მიდის. ომამდელ, 1940 წელს კოლმეურნეობის შემოსავალი თუ 1.344.000 მანეთს უდრიდა, საიდანაც განუყოფელ ფონდში 201.600 მანეთი ჩაირიცხა, უკვე ომისშემდგომი პირველი ხუთწლიანი გეგმის ბოლო 1950 წელს, კოლმეურნეობის შემოსავალმა 6.358.000 მანეთი შეადგინა და განუყოფელ ფონდში 953.800 მანეთი გადაირიცხა; კოლმეურნეებმა თვითეულ შრომადღეზე 25,5 მანეთი და 3,3 კილოგრამი მარცვლეული მიიღეს.

კოლმეურნეობის ეკონომიკა განუწყვეტლივ იზრდება. წელს კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი 8.570.000 მანეთს მიაღწევს, საიდანაც 7.769.000 მანეთს მარტო ჩაი მოგვცემს. ჩვენ გვყავს თვით მილიონერი ბრიგადებიც. მერვე და მეშვიდე ბრიგადების შემოსავალი მილიონ მანეთს გადააჭარბებს, შრომადღეზე 32 მანეთსა და 4 კილოგრამ მარცვლეულს გავცემთ და განუყოფელ ფონდში 1.285.500 მანეთს ჩავრიცხავთ.

ყოველ წელს ახალი გამარჯვებები მოაქვს. 1955 წელს ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავალი 10.500.000 მანეთს მიაღწევს და შრომადღეზე 40 მანეთსა და 5 კილოგრამ მარცვალს გავანაწილებთ. განზრახული გვაქვს ამ წელიწადს ჰექტარზე საშუალოდ 5.300 კილოგრამი ფოთოლი მოვკრიფოთ.

კოლმეურნეთა კეთილდღეობა

საკოლმეურნეო წარმოების განვითარებამ არსებითად გაუმჯობესა ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. მრავალი წლის გამოცდილების საფუძველზე კოლმეურნეები დარწმუნდნენ, რომ საზოგადოებრივი მეურნეობა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის საფუძველია. კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი და კოლმეურნეთა პირადი ინტერესების სწორად შეხამება ჩვენი გამარჯვების საწინდარია. კოლმეურნეთათვის ძირითადი შემოსავლის წყარო კოლმეურნეობიდან მიღებული ფულადი და ნატურალური შემოსავალია. კოლმეურნე ვ. მგელაძის ოჯახმა 1951 წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე 84.291 მანეთი ფული და 6.688 კილოგრამი მარცვლეული მიიღო, კ. ანდღულაძის ოჯახს კი 36.690 მანეთი და 4.111 კილოგრამი მარცვლეული ერგო, გ. მელუას ოჯახის შემოსავალი 66.384 მანეთითა და 7.910 კილოგრამი მარცვლეულით განისაზღვრა. ასევე მაღალი შემოსავალი მიიღეს კოლმეურნეების ს. ქურიძის, თ. ტუღუშის, კ. ჩხაიძის, თ. არახამიას და სხვა ოჯახებმა.

კოლმეურნეთა შეძლებულ, მდიდარ ცხოვრებაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ უკანასკნელ 2-3 წლის განმავლობაში ჩვენს სოფელში 50 კოლმეურნემ აიგო ორსართულიანი ოდასახლი, 18 კოლმეურნეს პირად სარგებლობაში აქვს ავტომანქანები „პობედა“ და „მოსკვიჩი“, ხოლო ისეთი კოლმეურნის ოჯახს, რომელსაც ძვირფასი ავეჯი არ ჰქონდეს, ახლა ჩვენს სოფელში ვეღარ ნახავთ.

სახე იცვალა ჩვენმა სოფელმა. სოფლის ცენტრს ამჟამად ამშვენებს საშუალო სკოლისა და კოლმეურნეობის კანტორის ორსართულიანი კაპიტალური შენობები, სასოფლო კლუბი და სამკითხველო, სასოფლო მაღაზია, ჩაის მიმღები პუნქტი, აფთიაქის, ფოსტისა და საავადმყოფოს შენობები. უკვე მთავრდება წყალსადენის მშენებლობა.

მტკიცედ მიდის წინ ჩვენი კოლმეურნეობა. ძიმითელი კოლმეურნეები, რომლებიც თავიანთ წარმატებას უმადლიან პარტიისა და მთავრობის ყოველდღიურ მზრუნველობას, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებას, თავიანთ სერიოზულ წვლილს შეიტანენ ჩვენს დიად ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში.

ს. მუხაშავრია,
სოციალისტური შრომის გმირი, მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

★

მოწინავე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების სტატიებს დიდი ინტერესით კითხულობს მილიონობით საბჭოთა ადამიანი. ისინი ხედავენ, თუ რა უდიდეს შესაძლებლობებს ქმნის საკოლმეურნეო წყობილება, რა შესანიშნავი შედეგების მიღწევა შეიძლება თვითეულ კოლმეურნეობაში, თუ ყველა კოლმეურნე პატიოსნად მუშაობს, თუ კოლმეურნეობას სათავეში უდგას საქმის მცოდნე და საკოლმეურნეო წყობილების ერთგული ადამიანი, რომელიც მთელ თავის ენერგიას, მთელ თავის ნიჭს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებასა და განმტკიცებას ახმარს. უდიდეს სიხარულს იწვევენ მოწინავე კოლმეურნეობათა საქმიანობის დამახასიათებელი ციფრები და ფაქტები...

საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელების მიერ მოსავლიანობის გადიდებასა და მეცხოველეობის განვითარებაში, საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებაში მიღებული გამოცდილების ფართოდ დანერგვას.

მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილებაში სოფლის მშრომელები იპოვიან პასუხს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებზე.

„პრავდა“.

★

კოლმეურნეთა შენიშვნები და წინადადებანი

1. განვამტკიცოთ მეცნიერთა და კოლმეურნეთა თანამეგობრობა

ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ანასეულის საბჭოთა-საკავშირო ინსტიტუტი მოწოდებულია მეცნიერული მომსახურება გაუწიოს კოლმეურნეობებს, დაგვეხმაროს მოწინავე აგროტექნიკისა და მექანიზაციის დანერგვაში, მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა პროპაგანდაში.

მაგრამ, როგორც ძიმითელი კოლმეურნეები დავრწმუნდით, ინსტიტუტმა ჯერ კიდევ მტკიცე კავშირი ვერ დაამყარა კოლმეურნეობასთან, სუსტად სწავლობს მოწინავე კოლმეურნეობის ეკონომიკას, მის პერსპექტივას, მეცნიერი მუშაკები იშვიათად კითხულობენ ლექციებს კოლმეურნეობებში. არც წელს და არც შარშან ინსტიტუტის ძალებით ძიმითის კოლმეურნეობაში ლექციები არ წაკითხულა; ინსტიტუტი არ დაინტერესებულა კოლმეურნე ნოვატორების მიღწევების შესწავლით.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ძიმითელ კოლმეურნეთა ეს შენიშვნება უნდა გაითვალისწინოს.

ლ. სალუქვაძე,
კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის პარტიული ბიუროს მდივანი.

2. ავაგოთ კაპიტალური ხიდი მდინარე სუფსაზე

მდინარე სუფსა სოფელ ძიმითს რაიონული ცენტრისაგან ჰყოფს. წყალდიდობის დროს ამ მდინარეზე უხიდობის გამო გავლა ძნელდება და ნასაკირალის ფაბრიკისათვის მოკრეფილი ჩაის ჩაბარება ფერხდება.

არსებობს ზემდგომი ორგანოების დადგენილება მდინარე სუფსაზე კაპიტალური ხიდის აგების შესახებ. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა დაევალა საქართველოს ჩაის ტრესტს, მაგრამ გადის წლები და ხიდის მშენებლობა დაწყებულიც არ არის.

ძიმითელი კოლმეურნეები ფიქრობენ, რომ მდინარე სუფსაზე ხიდის მშენებლობის დაჩქარებას ახლა მაინც მიექცევა ყურადღება.

თამარ ტულუში,
მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი.

3. ჩაის მიმღებ პუნქტების მშენებლობა უნდა დაჩქარდეს

ძიმითის კოლმეურნეობის პლანტაციები რამდენიმე ასეულ ჰექტარზეა გადაჭიმული. კოლმეურნეობის მოთხოვნილებას ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს არსებული მცირერიცხოვანი და კეთილმოუწყობელი პუნქტები. კოლმეურნეობის გამგეობამ რაიონული ხელმძღვანელობის დახმარებით რამდენჯერმე დააყენა საკითხი საქართველოს ჩაის ტრესტის წინაშე ამ საკითხის მოგვარების შესახებ, მაგრამ დღემდე შედეგი არ ჩანს.

ვ. მგელაძე,
№ 8 ბრიგადის ხელმძღვანელი.

4. მეტი და მაღალხარისხოვანი საშენი მასალები

კოლმეურნეობა დიდი მასშტაბით აწარმოებს კაპიტალურ მშენებლობებს, მაგრამ იმის გამო, რომ ცეკავშირი საჭირო რაოდენობით არ აწვდის ხე-ტყეს, ცემენტს, კირს და სხვა საშენ მასალებს, მუშაობა საგრძნობლად ფერხდება.

საშენი მასალების დროულად მიწოდება უნდა მოგვარდეს.

ა. მელუა,
ინჟინერი.



აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

სუხუმი, 31 აგვისტო. (საქდესი). გაიმართა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

უმაღლესმა საბჭომ მიიღო წინადადება დეპუტატ გ. კვირტიასი, რომ პირველ საკითხად განხილულ იქნას აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის საკითხი.

უმაღლესმა საბჭომ დაადგინა ი. ტუსკაძე განთავისუფლებულ იქნას აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

უმაღლესმა საბჭომ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია დეპუტატი ი. კაკალია.

სესიამ დამტკიცა აფხაზეთის ასსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 160.342 ათასი მანეთის რაოდენობით. სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის დახარჯება 41.265 ათასი მანეთი, სახალხო განათლებისათვის — 71.944 ათასი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვისათვის — 40.293 ათასი მანეთი. დიდი თანხები დაიხარჯება მიმდინარე წელს საკავშირო ბიუჯეტიდან აფხაზეთის კურორტების განვითარებისათვის, ქალაქების სუხუმისა და გაგრის კეთილმოწყობაზე.

კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს აფხაზეთის ასსრ 1953 წლის ბიუჯეტი. მათ აღნიშნეს, რომ ახალი ბიუჯეტის ციფრები მკაფიოდ ასახავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის, საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისათვის. დეპუტატებმა გააკრიტიკეს აფხაზეთის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებანი.

შემდეგ სესიამ განიხილა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, შეიტანა ცვლილებანი რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტში, აირჩია აფარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, უმაღლესი სასამართლოს წევრი, ამიერკავკასიის რკინიგზის სახაზო სასამართლოს სახალხო მსაჯულები აფარის ასს რესპუბლიკიდან.

თბილისში ფალიაშვილის ქუჩაზე დგას სამსართულიანი დიდი ახალი შენობა. აქ წელს მეცადინეობას შეუდგებიან ქალთა 44-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები. ჯერ კიდევ გუშინ აივსო სკოლის დერეფნები მოსწავლეებით. ყოველ მათგანს ბედნიერი ღიმილი უთამაშებდა სახეზე. ისინი ერთმანეთს არ აცლიდნენ შთაბეჭდილებების გაზიარებას. პატარა, შავგრუმანი გოგონა, რომელსაც პირისახე და მკლავები მზით ჰქონდა დამწვარი, დიდი გულისყურით უსმენდა უფროს გოგონებს. ეს გოგონა, მაყვალა აბულაძე, დღეს პირველად მოუჯდება მერხს. მასაც სურვილი აღეძრა გაეზიარებინა თავისი გულისნადები უფროსი ამხანაგებისათვის. — სოფელში ყოველდღე ვოცნებობდი: ნეტავი მალე დაიწყოს სწავლა, — თქვა მაყვალამ.

გუშინ თქვენ დაინახავდით გოგონების ჯგუფს, რომელნიც ერიამულით, ბედნიერი კისკისით მიემართებოდნენ სკოლისაკენ. აქ სტუმრად მოსულიყვნენ გასულ სასწავლო წელს კურსდამთავრებული ოქროსმედალოსნები მზია მგალობლიშვილი, ლელი ბიწაძე, ციალა შეყრილაძე, ლამარა ჭელიძე და სხვები, რომლებიც სიყვარულით ემშვიდობებოდნენ მშობლიურ სკოლასა და მასწავლებლებს. ეს გოგონები დღეს მეცადინეობას შეუდგებიან სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. **სურათზე:** მოსწავლეთა ჯგუფი სკოლის შენობის წინ.

ფოტო ვ. ზარიძისა.

ასე იწყება დიდი ცხოვრება

ნოდარ დუმბაძე

ჩუმი შრიალით კალენდარი დათვლის აგვისტოს,
პატარა მზიას თვალზე რული არ ეკარება.
ჩანთაში ახალ, ყდამოხატულ წიგნებს ჩაიწყობს
და მზეზე ადრე გაიღიმებს სკოლის ჭარებთან.

როგორ იქნება, რომ ეს დღე არ დაათარიღო,
ამ დღეს იწყებენ დიდ სიმღერას ჩვენი გულები,
ასე ვადგებით გზას, რომელიც უნდა დაიწყოს
სკოლის პატარა საფეხურებით.

მე ვხედავ ამ ბავშვს, წიგნს კითხულობს მთელი საღამო,
მან უკვე იცის, თუ რით სუნთქავს ქვეყნად ყოველი.
მისი ცხოვრებაც არის წიგნი დაუსაბამო,
წიგნი სიცოცხლის, სიყვარულის საგალობელი.

დახედავ მიწას, გაგიღიმებს შენი ქვეყანა.
ახედავ ზეცას, გიხარია, რადგან დარია.
შეგხვდება გზაში მზეჭაბუკი, მერე მზექალა,
გაგიღიმებენ და სკოლაში მიუხარიათ.

ბედნიერებო, თქვენ გიღიმით ზეცა გულღია,
აბა შეხედეთ, როგორ ფრენენ ცაში მართვები...
ამ სწორი გზიდან არასოდეს გადაუხვიოთ,
ამ გზით, ბავშვებო, კომუნიზმში მიემართებით!

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

ბათუმი, 29 აგვისტო. (საქდესი). გაიმართა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. სესიამ დაამტკიცა აჭარის ასსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და ანგარიში 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. აჭარის ასსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლისა და გასავლის ნაწილში დამტკიცებულია 121.107 ათასი მანეთის ოდენობით. მთელი ბიუჯეტის სახსრების 13,6 პროცენტი ხმარდება სახალხო მეურნეობის დაფინანსებას, 78,2 პროცენტი — სახალხო განათლების, კულტურის, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის საჭიროებებს.

კამათში გამოსულმა დეპუტატებმა აღნიშნეს ზოგიერთ სამინისტროთა და დაწესებულებათა მუშაობის ცალკეული ნაკლოვანებანი. აღინიშნა, რომ ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის და რაიონული საბჭოების აღმასკომების მიზეზით გასულ წელს ათვისებული არ იქნა ბიუჯეტის სახსრების 2.785 ათასი მანეთი.

უმაღლესი საბჭოს სესიამ დაამტკიცა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, შეიტანა ცვლილებანი რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტში, აირჩია აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, უმაღლესი სასამართლოს წევრი, ამიერკავკასიის რკინიგზის სახაზო სასამართლოს სახალხო მსაჯულები აჭარის ასს რესპუბლიკიდან.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც საბჭოთა პრესაში უკვე ვიუწყებოდით, 30 ივლისს საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც გამოთქმული იყო პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი ამერიკის სამხედრო თვითმფრინავის მიერ 29 ივლისს ქალაქ ვლადივოსტოკის მახლობლად სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის უხეშად დარღვევის წინააღმდეგ.

საბჭოთა პრესაში აგრეთვე ვიუწყებოდით, რომ 31 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა მოსკოვში ბ-ნმა ჩ. ბოლენმა შეერთებული შტატების მთავრობის დავალებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა სამახსოვრო ბარათი, რომელშიც სადავოდ არის გამხდარი ამერიკის სამხედრო თვითმფრინავის მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტი და ნათქვამია, თითქოს ამერიკის თვითმფრინავზე იერიში მიიტანეს საბჭოთა ავიაგამანადგურებლებმა იაპონიის ზღვაზე ჩვეულებრივი ფრენის დროს. აღნიშნულ სამახსოვრო ბარათთან დაკავშირებით 3 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა ნოტა, რომლითაც საბჭოთა მთავრობამ უარყო პროტესტი, რომელსაც სამახსოვრო ბარათი შეიცავდა, როგორც ყოველგვარ საფუძველსმოკლებული, და დაადასტურა თავისი 30 ივლისის ნოტა.

5 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დავალებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოუგზავნა ახალი ნოტა ამ საკითხზე, რომელშიც მეორდება განცხადება, რასაც აღნიშნული სამახსოვრო ბარათი შეიცავს.

26 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში შემდეგი ნოტა გაუგზავნა:

„ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ამა წლის 5 აგვისტოს ნოტასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განუცხადოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შემდეგი.

საბჭოთა მთავრობა დამაკმაყოფილებლად ვერ მიიჩნევს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პასუხს ა/წ 30 ივლისისა და 3 აგვისტოს ნოტებზე 29 ივლისს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავის „ბ-50“ მიერ ვლადივოსტოკის რაიონში სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დარღვევის შესახებ.

როგორც საბჭოთა მთავრობის ხსენებულ ნოტებში აღნიშნული იყო, იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც შეიცავენ საბჭოთა თვითმფრინავების მფრინავთა ჩვენებებს, მფრინავებისა, რომლებიც საზღვრის დამრღვევ ამერიკის თვითმფრინავს შეხვდნენ საბჭოთა ტერიტორიაზე, აგრეთვე ხმელეთის სამეთვალყურეო პუნქტებისაგან მიღებული ცნობების საფუძველზე, ამერიკის ოთხმოტორიანმა „ბ-50“ ტიპის ბომბდამშენმა 29 ივლისს დაახლოებით დილის 6 საათზე ადგილობრივი დროით (დაახლოებით 7 საათზე ვლადივოსტოკის სადეკრეტო დროით) დაარღვია სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი ჯერ გამოვის კონცხის რაიონში და ფრენა განაგრძო სსრ კავშირის ტერიტორიაზე ასკოლდის კუნძულის ახლოს ვლადივოსტოკის მახლობლად. ორი საბჭოთა ავიაგამანადგურებლის მიახლოებისას, რათა ამერიკის თვითმფრინავისათვის ეჩვენებინათ, რომ იგი სსრ კავშირის საზღვრების ფარგლებში იმყოფებოდა და წინადადება მიეცათ დაეტოვებინა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცე, ამერიკის ბომბდამშენმა დილის 6 საათსა და 12 წუთზე ადგილობრივი დროით სროლა აუტეხა მათ. შედეგად ერთ-ერთ საბჭოთა თვითმფრინავს სერიოზული ზარალი მიაყენა — გახვრეტილია ფუზელაჟი და მარცხენა ფრთა, აგრეთვე დაზიანებულია მფრინავის კაბინის გერმეტულობა. საზღვრების დამრღვევი ამერიკის თვითმფრინავის აღნიშნული მოქმედების გამო საბჭოთა თვითმფრინავები იძულებული გახდნენ აეტეხათ საპასუხო სროლა, რის შემდეგ ამერიკის თვითმფრინავი ზღვისაკენ წავიდა. საზღვრის დამრღვევი ამერიკის თვითმფრინავის შემდგომი ბედის შესახებ საბჭოთა ხელისუფლებს ცნობები არა აქვთ.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, როგორც მისი 5 აგვისტოს ნოტიდან ჩანს, აღიარებს, რომ 29 ივლისს დილის 6 საათსა და 15 წუთზე ადგილობრივი დროით ამერიკის ოთხმოტორიანმა ბომბდამშენმა „ბ-50“ სროლა აუტეხა საბჭოთა ავიაგამანადგურებელს, რაც დროის მიხედვით დაახლოებით ემთხვევა საბჭოთა ნოტებში აღნიშნულ ცნობებს.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავის ნოტაში აცხადებს, თითქოს ამერიკის ბომბდამშენს სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი არ დაერღვიოს და მის წინააღმდეგ იერიში მიეტანოთ საბჭოთა ავიაგამანადგურებლებს ღია ზღვაზე ფრენის დროს. მაშინ როცა, საბჭოთა მთავრობის 30 ივლისისა და 3 აგვისტოს ნოტებში მოყვანილი, შემოწმებით დადასტურებული ცნობები სავსებით აბათილებენ განცხადებას, თითქოს ამერიკის თვითმფრინავს „ბ-50“ არ დაერღვიოს სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი და მის წინააღმდეგ იერიში მიეტანოთ საბჭოთა ავიაგამანადგურებლებს იაპონიის ზღვაზე.

რამდენადაც ამერიკის სამხედრო თვითმფრინავის მიერ საბჭოთა სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტი ზუსტად დადგენილია, საბჭოთა მთავრობა უარყოფს, როგორც ყოველგვარ საფუძველსმოკლებულს, ამერიკის შეერთებული შტატების ნოტაში მოყვანილ პროტესტს.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავის ნოტაში აცხადებს, რომ 29 ივლისს საღამოს 17 საათსა და 50 წუთზე (5 საათსა და 50 წუთზე ადგილობრივი დროით) ესე იგი ინციდენტის მოხდენიდან თითქმის 12 საათის შემდეგ, ამერიკის თვითმფრინავებმა წყალში, იმ პუნქტში, რომლის კოორდინატები [illegible] 42 გრადუსი [illegible] სავლეთ გრძედის 132 გრადუსი და 59 მინუტი, შეამჩნიეს 3-4 კაცისაგან შემდგარი ორი ჯგუფი ხსენებულ ბომბდამშენ „ბ-50“ ეკიპაჟის წევრთა რიცხვიდან და რომ იაპონიის ზღვის ამ რაიონში თითქოს იმყოფებოდა „რტ“ ტიპის 12 საბჭოთა გემი, რომლებიც, როგორც ნოტაშია ნათქვამი, ეწეოდნენ „ცხადია, სხვა პირების გადარჩენას, რომლებიც კატასტროფის შემდეგ ცოცხალი დარჩნენ“. ეს განცხადება სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს და, როგორც ჩანს, იმის შედეგია, რომ ბომბდამშენ „ბ-50“ ეკიპაჟის წევრების ძებნა წარმოებდა, როგორც ამერიკის ნოტის ტექსტიდან გამომდინარეობს, ნისლისა და სიბნელის არახელსაყრელ პირობებში და რომ, მაშასადამე, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ეძყარება ინფორმაციას, რომელიც ფაქტებს ეწინააღმდეგება.

საბჭოთა კომპეტენტური ხელისუფლების მიერ წარმოებულმა გულდასმითმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ნოტაში აღნიშნულ იაპონიის ზღვის რაიონში 29 ივლისს არავითარი საბჭოთა გემი არა ყოფილა. საბჭოთა გემი ამ რაიონში გამოჩნდა მხოლოდ მეორე დღეს, ე. ი. 30 ივლისს, დაახლოებით დილის 3 საათზე ადგილობრივი დროით. ეს იყო № 423 სათევზაო ტრაულერი, რომელმაც გაიარა ამერიკის ნოტაში აღნიშნული რაიონი და რომელიც თევზს იჭერდა. ამ ტრაულერს, მისი კაპიტნის მოხსენების თანახმად, მიუახლოვდა ამერიკის ორი ნაღმოსანი, ამასთან ამერიკელმა და იაპონელმა ოფიცრებმა, რომლებიც ერთ-ერთი ნაღმოსნიდან ჩამოშვებულ კატერზე იმყოფებოდნენ, ტრაულერის კაპიტანს მოსთხოვეს ცნობები, რომლებიც თვითმფრინავს „ბ-50“ და მის ეკიპაჟს შეეხებოდა. რამდენადაც ტრაულერის ეკიპაჟს თვითმფრინავისა და მისი ეკიპაჟის არავითარი ნაშთი ზღვაში არ უნახავს, საბჭოთა ტრაულერის კაპიტანი, ბუნებრივია, მოთხოვნილ ცნობებს ვერ მისცემდა.

იმ თხოვნასთან დაკავშირებით, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ნოტა შეიცავს, აცნობონ, ხომ არ აქვთ საბჭოთა ხელისუფლებს ცნობები ამერიკის თვითმფრინავის „ბ-50“ ეკიპაჟის წევრთა შესახებ, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია აცნობოს, რომ წარმოებული გამოკვლევის შედეგად დადასტურდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებს არავითარი ცნობა არ მოეპოვებათ ამერიკის ბომბდამშენის „ბ-50“ ეკიპაჟის შესახებ.

ადასტურებს რა თავის 30 ივლისისა და 3 აგვისტოს ნოტებს, საბჭოთა მთავრობა კვლავ მტკიცედ მოითხოვს, რომ სასტიკ პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი საბჭოთა საზღვრის დარღვევაში დამნაშავე პირები, და მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიიღებს ღონისძიებას, რათა ამიერიდან ამერიკის თვითმფრინავებმა აღარ დაარღვიონ სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი“.

ჩვენი ქვეყნის ყვავილები

ნანატრი, მშვენიერი, მარად დაუვიწყარი დღეა პირველი სექტემბერი. მჩქეფარე სიცოცხლით და სიხარულით იწყება ეს დღე ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობის ცხოვრებაში. მღელვარებით ხვდება ამ დღეს სწავლის მოყვარულთა მეზნებარე გული.

აი ახლა, როცა დილიდან აწკრიალდა პირველი ზარი, მერხებს უსხედან ათასობით ლალი და ოლეგი, მანანა და ირაკლი, ზოია და გურამი, ვინ იცის, რამდენი ტკბილი ოცნება, რამდენი ალალი ფიქრი ჩაჰყვათ მათ ძილში, როცა წუხელ ბალიშებზე ედოთ თავი და საყვარელი სკოლა ესიზმრებოდათ!

რა მოუთმენლად ელოდნენ დღევანდელი დღის გათენებას ჩვენი დიადი სამშობლოს გოგონები და ჭაბუკები, ქალები და ვაჟები.

სწავლა დაიწყო. ფართოდ გაიღო ჩვენი სკოლების, ტექნიკუმების, ინსტიტუტების კარი. ნათელ საკლასო ოთახებსა და აუდიტორიებს დაუბრუნდა ჯანღონით სავსე ახალგაზრდობა.

კეთილი იყოს თქვენი მოსვლა!

ამ სიტყვებით მიესალმება დღეს საბჭოთა სკოლა თავის აღსაზრდელებს. სწავლის დაწყებას მიიღოცავენ მოსწავლეებსა და სტუდენტობას მათი აღმზრდელი მასწავლებლები, პედაგოგები, პროფესორები. დილითვე მოეწყობა პირველი გაკვეთილი, პირველი ლექცია. გაჩაღდება ცოდნის შეძენისათვის ბრძოლა ჩვენს თვალუწვდენელ სამშობლოში — შორეული კურილის კუნძულებიდან შავ ზღვამდე. სიცოცხლით გააღვძებენ საბჭოთა სასწავლებლებს სწავლის ერთგული მოტრფიალენი.

I

ვხედავთ, ვგრძნობთ, ფიქრით წარმოვიდგენთ, თუ რა გულისფანცქალით შედიან პირველად მშობლიურ სკოლაში პირველკლასელი ბავშვები. დედებს მოუყვანიათ სუფთად ჩაცმულნი. ისინი მორცხვობენ, ჯერ კიდევ ეუცხოვებათ სკოლის გარემო, მაგრამ ძალე მიეჩვევიან ერთმანეთს, დამეგობრდებიან, ძალე გაიცნობენ ტოლები ტოლებს დერეფნებში თამაშის შემდეგ.

დღეს, პირველ სექტემბერს, პირველად მივლენ პირველ გაკვეთილზე თბილისის ქალთა პირველ საშუალო სკოლაში: ლელი აბაშიძე, მარინე თარგამაძე, მაია ბერიძე, გულსუნდა კაკაბაძე, მანანა ასათიანი, მზია გელაშვილი, მარინე თათენაშვილი, ლალი ჯარმელაშვილი, მარინე კიკნაძე, მანანა ჭაბუკიანი და მრავალი სხვა.

ასევე პირველად მივლენ თბილისის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში: თეიმურაზ აბაშიძე, გრიგოლ ავალიშვილი, ჯუმბერ ასათიანი, რეზო ბუთლიაშვილი, გიორგი ბაქრაძე, მალხაზ გაბაშვილი, ვაჟა გელაშვილი, აბესალომ თენეიშვილი, რევაზ რამიშვილი, ნოდარ რაზმაძე, შალვა ლიპარტიანი, ზაზა ციცოშვილი და მათი ტოლები.

და განა მარტო დედაქალაქის ამ სკოლებს მოევლინება ნორჩი თაობა ხელახლა შესავსებად და სწავლას დასაწყებად? დღეს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, მთაში თუ ბარად, კვლავ მხიარული ერიამულით გამოაცოცხლებს სკოლის შენობებს მრავალი მილიონი მოსწავლე. როგორც კი დილის პირველი სხივი ფანჯრებიდან შემოანათებს, სკოლისკენ მიმავალ გზას გაუდგებიან ზაფხულის მცხუნვარე მზით შერუჯული ბავშვები.

აი ჯგუფ-ჯგუფად მიდიან სოფლის შარა-გზებზე პატარა მეგობრები. მელნის წვეთებით შელურჯებულ ჩანთებში უწყვიათ წიგნები, საწერ-კალამი, დალის საუზმე.

მიდიან, რომ კვლავ გაამხიარულონ სამი თვით გარინდებული სკოლის შენობა, მისი ნათელი ოთახები და დერეფნები. რამდენი სიმის, ტკბილი ღღეების მოწმეა საბჭოთა სკოლის ეზო! ზაფხულის არდადეგების შემდეგ აქ ხვდებიან პირველად ერთმანეთს სკოლაში დაბრუნებული მოსწავლეები. ხვდებიან ალერსით, ღიმილით, შთაბეჭდილებათა გაზიარებით. ერთმანეთს უყვებიან, თუ ვინ როგორ გაატარა ზაფხული.

— წელს ზღვაზე ვიყავი, ქობულეთის სანაპიროზე! — გაიგონებთ ციალას სიტყვებს და თუ ბოლომდე ყურს დაუგდებთ, თვალწინ გადაგეშლებათ შავი ზღვის პირის მომხიბლავი პეიზაჟები.

— მე მშობლიურ სოფელში, ყვარელში ვისვენებდი, ხშირად დავდიოდა დურუჯის პირას, ბაღებსა და ვენახებში, კუდიგორაზეც ბევრჯერ ავსულვარ, დროს ვატარებდი, ერთი სიტყვით, ქარგად დავისვენე, — გესმით თამარის საუბრიდან.

— მე კი მთამსვლელიც გავხდი, მყინვარწვერზე ავედი სტუდენტ ალპინისტებთან ერთად; ბევრი რამ ვნახე მოსაწონი და საგულისხმო. ვიყავი რიწის ტბაზეც. ნეტავ იცოდე რა ლამაზია! — აღტაცებით წარმოთქვამს სერგო და მსმენელებს იზიდავს ჩვენი ქვეყნის სიტურფეზე საუბრით.

ვინ ასწერს რამდენი დაუვიწყარი შთაბეჭდილება, რამდენი თავგადასავალი იქნება დღეს გულმართლად ნაამბობი ჩვენს სკოლებსა და სასწავლებლებში. აწკრიალდება პირველი ზარი, და დროებით შეწყდება მეგობრული საუბრები, როგორც დაუმთავრებელი მოთხრობა. დადგება დასვენების წუთები, კვლავ გაგრძელდება ტკბილი ბაასი მშობლიურ მთებზე, ზღვაზე, სოფლებსა და აგარაკებზე...

დღეს, პირველ სექტემბერს, ადრე გაეღვიძებათ პირველკლასელებს, ადრე გაეღვიძება ყველა მოსწავლეს და სტუდენტს, რომ კვლავ სიყვარულით ინახულონ სასწავლებლები, მათი აღმზრდელი პედაგოგები. დღეს ათეულ ათასობით ბავშვი პირველად შედგამს ფეხს სკოლის ნათელ შენობაში, რომ გულმოდგინე სწავლით დაეუფლონ მეცნიერების საფუძვლებს. ისინი ახლა მორცხვად სხედან პაწაწინა მერხებზე. დღეს მათ პირველად ხედავს მზრუნველი მასწავლებელი, ვისაც ამბარია ნორჩთა ცხოვრების პირველი გზა, მათი მშვენიერი აწმყო და კიდევ უკეთესი მერმისი. ბავშვებს გადაუშლიათ მშობლიური „დედა-ენა“, ფაქიზად ფურცლავენ საყვარელ წიგნს, სადაც მსხვილი შრიფტით დაბეჭდილია პირველი ქართული ასო — ა.

და ასე შემდეგ, ფურცელ-ფურცელ მისდევენ ერთმანეთს ასოები ა-ნიდან ჰ-ემდე სურათებითა და პატარა მოთხრობებით დამშვენებული. „დედა-ენიდან“ ისწავლიან კაცთა სიყვარულს, ხალხთა ძმობას, სიკეთეს და სათნოების გრძნობას, მტრისადმი სიძულვილს, მამულისადმი ერთგულებას. ეს პატარა წიგნი იქნება მათი პირველი შუქურა ცხოვრების დიად გზაზე გამოსასვლელად. მან პირველად უნდა გაუნათოს საღი გონება ჩვენი სამშობლოს მომავალ ინჟინრებს, აგრონომებს, ექიმებს, მასწავლებლებს, ყველა სპეციალობის წარმომადგენლებს. ხსოვნაში დარჩება, არ წაიშლება „დედა-ენით“ მიღებული პირველი შთაბეჭდილება და დღევანდელი გაკვეთილი.

II

მორჩა ზაფხულის არდადეგები. სასწავლებლებს დაუბრუნდა მგზნებარე საბჭოთა ახალგაზრდობა. სახეცქრიალა პირველკლასელებთან ერთად დღეს სიხარულით ღელავენ პირველკურსელებიც უმაღლეს სასწავლებლებში.

ორ თვეზე მეტია, რაც თბილისის ვაჟთა 1-ლ საშუალო სკოლას დაემშვიდობა ოქროს მედალოსანი თამაზ ლომინაძე. მერხიდან დაჰყვა სურვილი, რომ ქიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიურ ფაკულტეტზე მოწყობილიყო. ნატვრა შეესრულდა. მედალოსანი თამაზი ახლა ინსტიტუტის დიდ აუდიტორიაში ისმენს პირველ ლექციას საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ ახალგაზრდებთან ერთად.

ამავე ინსტიტუტის სხვადასხვა ფაკულტეტზე მოეწყვნენ ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, ოქროს მედალოსნები — ლომერ აბლეფლიანი, თენგიზ გოგუა, გურამ მელაძე, ნოდარ ბაქრაძე, თამაზ კალატოზიშვილი, გიორგი დიდიშვილი, ლევან ფურცელაძე, გიორგი კაპანაძე, ჯუმბერ ჯაში და სხვები.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაირიცხნენ აგრეთვე თბილისის ქალთა პირველი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, ოქროს მედალოსნები — ლიანა ბუცხრიკიძე და მარიამ გუგუტიშვილი, ხოლო ლეილა თოფურიძე, ჰენრიეტა რაფავა და ირმა ჩხეიძე — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქიმიურ, ფილოლოგიურ და ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე.

ასეულათასობით მოსწავლე, ათეულ-ათასობით სტუდენტი შეუდგა დღეს მეცადინეობას ჩვენი რესპუბლიკის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. მოვიდნენ „სწავლისმეძებნელი“ საბჭოთა ახალგაზრდები, რომ ცოდნით ასახელონ მშობლიური ქვეყანა, იყონ მოწინავენი, ხალხის სასიქადულო შვილები. გაიღვიძეს დერეფნებმა, ეზოებმა, საკლასო ოთახებმა. გაიღვიძეს უმაღლესი სასწავლებლების აუდიტორიებმა და ლაბორატორიებმა, სადაც ახლა პირველ ლექციებს ისმენენ, პირველ ცდებს აწყობენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვით გარემოსილი სტუდენტები.

საიდან არ მოსულან უმაღლესი ცოდნის მისაღებად სწავლის მოყვარული ახალგაზრდები — ცამდე აზიდული ბარისახოს მთებიდანაც, სადაც ზეცის კამარას ეჭიავენ კავკასიონის კალთებიდან აფრენილი ორბები, მოსულან მარადთოვლიანი უშბისა და თეთნულდის სამშობლო კუთხიდან, მოსულან ალაზნის გაშლილი ველმინდვრებიდან, სადაც ახლა შემოდგომის მზე ამწიფებს რქაწითლისა და საფერავის ბარაქიან მტევნებს. მოსულან ახალგაზრდები აყვავებული კოლხიდის ლამაზი მიდამოებიდან, სადაც მწვანე ხავერდად გადაშლილა ქართული ჩაის პლანტაციები, რტოებზე იწყებენ შეყვითლებას ლიმონები და მანდარინები. მოსულან ახალგაზრდები, რომ დაიპყრონ მეცნიერების მწვერვალები, სწავლით გაახარონ საყვარელი მამული, ცოდნით გაიკაფონ ცხოვრების გზა, იყონ კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში.

III

სწავლა დაიწყო. სიხარულით ხვდებიან სწავლის დაწყების დაუვიწყარ თარიღს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდები.

სევდით, ნაღვლით, სასოწარკვეთილებით ხვდება ამ დღეს კაპიტალისტური სამყაროს იმედდაკარგული ახალგაზრდობა. მსოფლიოს ბატონობაზე მოცილენი იანკებმა ჯარის უაზარმებად აქციეს ათასობით სასკოლო შენობა როგორც დოლარის სამეფოში, ისე მარშალიზებულ ქვეყნებში. იქ ახლა მილიონობით ბავშვია დარჩენილი სკოლის გარეთ; ატომისა და წყალბადის ბომბებზე ფიქრით გაბრუებულ იანკებს არა სცალიათ ახალი სკოლებისა და ინსტიტუტების ასაგებად, მათ კეთილმოსაწყობად. სამაგიეროდ ისინი შავბნელი შთაგონებით აგებენ საბჭედრო ბაზებს ყველა ვასალურ ქვეყანაში. მათ ფაქტიურად ოკუპაცია უყვიეს თავისუფლების მოტრფიალე საფრანგეთს. ამერიკულ ავიაბაზად იქცა ეგრეთწოდებული ბრიტანული ლომის სამშობლო — ლამანშის გადაღმა კუნძულები. იანკების სამხედრო სავარჯიშო პოლიგონებად ქცეულა დასავლეთ გერმანიის მკვიდრთა მიწა-წყალი, სადაც ახლა მომავალ მკვლელთა დივიზიებს ამზადებს ადენაუერის რევანშისტული ხროვა. ამავე მიზნით ამერიკელები მიწას ართმევენ ესპანიის მეთევზეებს მათ მიერ ოკუპირებული იაპონიის კუნძულებზე. არაფერს ვიტყვით ჩვენს მეზობელ, კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილ თურქეთზე, სადაც ამ ქვეყნის ბატონ-პატრონად გრძნობენ თავს ომის ოკეანესგაღმელი გამჩაღებლები.

ყველგან, სადაც კი ფეხს შედგამენ დოლარის თაყვანისმცემლები, შეაქვთ ამერიკული ცხოვრების „წესი“, — იხურება სკოლების დიდი ნაწილი, უსწავლელი რჩება კაპიტალის ტყვეობაში მყოფი ღარიბი ახალგაზრდობა.

იქაც დადგა პირველი სექტემბერი, მაგრამ ისე მხიარული და მზენათელი კი არა, როგორც ეს ჩვენშია, არამედ უიმედობის მწუხრით დაბურული. ლუკმაპურს დაეძებენ ძონძებში გახვეული სკოლამდელი ასაკის ბავშვები, უმუშევართა შვილები იტალიის ქალაქებში, ფრანკისტულ ესპანეთში, ადენაუერის გერმანიაში და ყველა მარშალიზებულ ქვეყანაში, სადაც ყბადაღებული „ამერიკული დახმარების“ აღმოჩენის საბაბით თარეშობენ უოლსტრიტელი აფთრები.

სულ სხვა სურათია სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, გმირ ჩრდილოეთ კორეაში, სადაც სამწლიანი სამამულო ომის შემდეგ ბავშვები წელს პირველად მიდიან სკოლებში მშვიდობიან ვითარებაში. მათ ახლა არ აშინებთ ზღვისა და ჰაერის ამერიკელი მეკობრეები, დღედაღამ რომ ბომბავდნენ კორეელი ახალგაზრდობის სასწავლო კერებს.

დადგა პირველი სექტემბერი.

— ისევ სკოლებისკენ! ინსტიტუტებისკენ, ყველა უმაღლესი სასწავლებლისაკენ! — ასე ეძახის ჩვენი სამშობლოს ბედნიერ ახალგაზრდობას — ჩვენი ქვეყნის ყვავილებს პირველი სექტემბრის პირველი ზარი.

ვ. ჟურული.

გერმანიის მშვიდობისა და ერთიანობისათვის

მოლაპარაკება ერთიანობის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გერმანელთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შორის

ბერლინი, 30 აგვისტო. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო გადმოგვცემს, ყოფილ რაიხსკანცლერის დოქტორ ვირტისა და ყოფილ ობერბურგმისტრის ვილჰელმ ელფესის წინადადებით 28 აგვისტოს ბერლინში გაიმართა მოლაპარაკება ერთიანობის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გერმანელთა კავშირის ხელმძღვანელობასა და პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეოლს, აგრეთვე მის მოადგილეებს — ნუშკესა და დოქტორ ლოხს და სტატს-მდივან უნდერლიხს შორის.

მოლაპარაკების ცენტრში იყო ახალი მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა დასავლეთის სახელმწიფოებისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტასა და საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებს შორის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით. მონაწილეებმა ერთსულოვნად გამოთქვეს აზრი, რომ მიღწეულია მდგომარეობა, რომელიც ხელს უწყობს გერმანიის სახელმწიფოს აღდგენას და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას. გერმანიის ეროვნული სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენა და ექვსი თვის მანძილზე საზავო კონფერენციის მოწვევა საზავო ხელშეკრულების დასადებად გერმანიის წარმომადგენელთა მონაწილეობით აღმოსავლეთის და დასავლეთის გერმანელთა სანუკვარი სურვილია. ეს არის მთავრობებისა და პარლამენტების მთავარი ამოცანები.

მოლაპარაკების დროს პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად არის ყოველ მომენტში დაიწყოს მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ თვითეულმა მხარემ განვითაროს სრულიად გერმანიის ვაჭრობა წელიწადში მილიარდ მარკამდე თანხით.

ერთიანობის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გერმანელთა წარმომადგენლებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრების შეხვედრამ კვლავ დადასტურა, რომ, პოლიტიკურ შეხედულებათა განსხვავების მიუხედავად, ყოველ მომენტში შეიძლება გერმანელები ურთიერთშორის შეთანხმდნენ გადამწყვეტ პოლიტიკურ საკითხებზე.

დოქტორ ვირტსა და ვილჰელმ ელფესს ბერლინში ყოფნის დროს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ სსრ კავშირის უმაღლეს კომისართან გერმანიაში ელჩ სემიონოვთან. ამ საუბრის დროს განხილულ იქნა იმ საკითხების მნიშვნელობა მთელი გერმანიისათვის, რომლებიც წარმოიშვა დასავლეთის სახელმწიფოებისადმი საბჭოთა მთავრობის 15 აგვისტოს ნოტასთან და სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებს შორის მოსკოვის შეთანხმებასთან დაკავშირებით.

გერმანელი ხალხის მშვიდობის, ერთიანობისა და ეროვნული უფლებებისათვის

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს სხდომა

ბერლინი, 30 აგვისტო. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო იუწყება, გუშინ ლაიპციგში გაიმართა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს სხდომა. სხდომა მიეძღვნა საბჭოთა მთავრობის უკანასკნელ ნოტას გერმანიის საკითხზე, მოსკოვში საბჭოთა კავშირ-გერმანიის მოლაპარაკების შედეგებს და მასობრივ-პატრიოტული მოძრაობის გაჩაღების საქმეში ეროვნული ფრონტის ამოცანებს. სხდომას დაესწრნენ: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარე ი. დიკმანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი, პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ოტო ნუშკე, დოქტორი ლ. ბოლცი და დოქტორი გ. ლოხი, გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარე გ. ვარნკე.

თავმჯდომარემ დოქტორმა ლ. ბოლცმა შესავალ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანელი ხალხისათვის საბჭოთა მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგებს. შემდეგ მან ძირითადი მოხსენებასათვის სიტყვა მისცა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პროფესორ კორენსს.

თავის მოხსენებაში პროფესორმა კორენსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის ნოტა გერმანიის საკითხზე და საბჭოთა კავშირ-გერმანიის მოლაპარაკება მოსკოვში დიდი წვლილია გერმანიის მშვიდობისა და ერთიანობისათვის გერმანელი ხალხის ბრძოლის საქმეში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიური აღმავლობისა და რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში. ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელი პატრიოტი მხურვალე მადლობით შეხვდა და მოიწონა საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახლა, როცა დიდსულოვანი საბჭოთა წინადადებანი ფართო პერსპექტივებს სახავენ გერმანელი ხალხის ბრძოლაში თავისი ეროვნული უფლებებისათვის, ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის აშენების საქმე თვითონ გერმანელი ხალხის ხელშია.

პროფესორმა კორენსმა მტკიცედ მოითხოვა, რომ დაუყოვნებლივ გადაიჭრას გერმანიის საკითხი სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნის გზით, რომელიც მოამზადებს სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობას, და საზავო კონფერენციის მოწვევის გზით — გერმანელ წარმომადგენელთა მონაწილეობით — გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესამუშავებლად და ხელმოსაწერად.

შეეხო რა დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის მომავალ არჩევნებს, ორატორმა აღნიშნა, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება თვითეულ გერმანელს, რომელმაც ამ არჩევნებში მონაწილეობით უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომელიც ეხება გერმანელი ხალხის ბედს.

თავისი მოხსენების დასასრულს პროფესორი კორენსი შეეხო ეროვნული ფრონტის ამოცანებს მეორე ეროვნული კონგრესისათვის მზადებასთან დაკავშირებით, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხში მასობრივ ახსნა-განმარტებითს მუშაობას.

სხდომაზე მიღებულ იქნა განცხადება, რომელიც აწერენს საბჭოთა მთავრობის 15 აგვისტოს ნოტას გერმანიის საკითხზე და საბჭოთა მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგებს.

გაიხსნა ლაიპციგის საერთაშორისო გაზრდა

ლაიპციგი, 30 აგვისტო. (საკდესი). დღეს ლაიპციგში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ტრადიციული საერთაშორისო ბაზრობა.

ბაზრობის გახსნის გამო ლაიპციგის ქალაქის დრამატულ თეატრში გაიმართა საზეიმო კრება, რომელსაც დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარე იოჰანეს დიკმანი, მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეოლის მეთაურობით, საბჭოთა დელეგაცია სსრ კავშირის საგაჭრო პალატის თავმჯდომარის მ. ვ. ნესტეროვის მეთაურობით, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დელეგაციათა წევრები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია.

კრებას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი კომისარი გერმანიაში ელჩი ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის მოადგილე გერმანიაში ელჩი პ. ფ. იუდინი, უმაღლესი კომისრის მთელი რიგი პასუხისმგებელი თანამშრომელნი, დიპლომატიურ მისიათა მეთაურები და წარმომადგენლები, რომელნიც აკრედიტებული არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, წარმოების აქტივისტები და მოწინავეები, კულტურის მოღვაწეები. დაესწრნენ აგრეთვე დასავლეთ გერმანიიდან ჩამოსული სტუმრები და ლაიპციგის ბაზრობის მონაწილე კაპიტალისტური ქვეყნების საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა სიტყვით მიმართა შეკრებილთ.

ოტო გროტეოლმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ვაჭრობის ნორმალურ განვითარებას მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იმ ახალი კურსის ამოცანების შესაბამისად, რომელსაც იგი ახორციელებს, ისწრაფვის მთელ მსოფლიოში გაიფართოოს თავისი საგარეო საგაჭრო ურთიერთობა და რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შეუძლია დიდი როლი შეასრულოს, როგორც ყველა სხვა ქვეყანასთან მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობის დამაკავშირებელმა რგოლმა, თუ ეს სავაჭრო ურთიერთობა აგებულ იქნება ურთიერთპატივისცემის, თანასწორუფლებიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პრინციპებზე.

შეეხო რა ამასწინანდელ მოლაპარაკებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასა და საბჭოთა მთავრობას შორის, პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსკოვში მიღწეულ შედეგებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და იმ ეროვნული ბრძოლისათვის, რასაც მთელი გერმანელი ხალხი ეწევა ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის რაც შეიძლება მალე შესაქმნელად, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დასადებად.

თავისი სიტყვის დასასრულს ოტო გროტეოლმა ხაზგასმით აღნიშნა. რომ ლაიპციგის ბაზრობას დიდი მნიშვნელობა ექნება იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სრულიად გერმანიის შეთანხმება გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით.

საზეიმო კრების მონაწილეებმა დიდი უურადღებით მოისმინეს გროტეოლის სიტყვა. შეკრებილნი მხურვალე ტაშით შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის მისალმებას, რომელიც პრემიერ-მინისტრმა გამოაქვეყნა.

შემდეგ ბაზრობის გახსნაზე ჩამოსულმა საპატიო სტუმრებმა დათვალიერეს გამოფენის პავილიონები.

საბჭოთა კავშირის პავილიონში პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა მნახველთა შთაბეჭდილების წიგნში ჩაწერა, რომ საბჭოთა ადამიანების თვალსაჩინო სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევები, რომლებიც ემსახურება სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის საქმეს, საკეთილდღეოა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისა და მთელი კაცობრობისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის უწყების ცნობა

ბერლინი, 29 აგვისტო. (საკდესი). ადნ-ის საგენტომ გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის უწყების შემდეგი ცნობა:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა და პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ვალტერ ულბრიხტმა 27 აგვისტოს მიიღეს გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ბუნდესტაგის დეპუტატი მაქს რაიმანი. პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა დაწვრილებით გააცნო მაქს რაიმანს მოსკოვში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასთან სსრ კავშირის მთავრობის მოლაპარაკება და შეთანხმებანი. ამასთან დაკავშირებით გაიმართა აზრთა გაცვლა, რომლის დროსაც მაქს რაიმანმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის მთავრობის 15 აგვისტოს ნოტამ დასავლეთის სამი სახელმწიფოსადმი და საბჭოთა კავშირის მთავრობასთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკების შედეგებმა ფართო გზა გაუხსნა გერმანიის საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტას. ამასთან დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას შეუძლია გადამწყვეტი სიტყვა თქვას, თუ იგი მომავალ პოლიტიკურ გადაწყვეტაში გამოთქვამს თავის ნებას — ბოლო მოუღოს ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა პოლიტიკას, რასაც აღენაუერი ახორციელებს, და ჩამოაგდოს აღენაუერი.

ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტი ომის ბიუჯეტია

ვაშინგტონი, 29 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან არსებულმა სამიუჯეტო ბიურომ 27 აგვისტოს გამოაქვეყნა შეერთებული შტატების 1953-1954 საფინანსო წლის ეგრეთწოდებული გადასინჯული ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვა. როგორც ცნობილია, ამ საფინანსო წლის ბიუჯეტის თავდაპირველი პროექტი ყოფილმა პრეზიდენტმა ტრუმენმა წარადგინა 1953 წლის იანვარში. ტრუმენის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის გასავლის ნაწილი შეადგენდა 78.587 მილიონ დოლარს. აქედან 55 მილიარდი გათვალისწინებული იყო პირდაპირი სამხედრო ხარჯებისათვის.

30 აპრილს პრესკონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა, რომელმაც განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს შეერთებული შტატების კონგრესს მიმართოს წინადადებით — შეამციროს სამიუჯეტო ხარჯები მომავალ საფინანსო წელს, ამასთან აღნიშნა, რომ სახსრების ეკონომია მოხდება სამხედრო ხარჯების და უცხო სახელმწიფოთათვის „დახმარების“ გაწევის ხარჯების შემცირების გზით.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ კონგრესმა გადასინჯა ტრუმენის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი და დაამტკიცა გადასინჯული სამიუჯეტო ასიგნობანი.

1953-1954 საფინანსო წლის გადასინჯული ბიუჯეტის გასავლის ნაწილი შეადგენს 72.100 მილიონ დოლარს, რაც 8,5-ჯერ აღემატება შეერთებული შტატების 1939 წლის სამიუჯეტო ხარჯებს და თითქმის ერთბორად 1950 წლის სამიუჯეტო ხარჯებს.

ისევე როგორც გასულ წლებში, გადასინჯული ბიუჯეტით დასახული სამოქალაქო საჭიროების ხარჯები შეადგენს მთელი გასავლის ნაწილის სულ ბევრი 1/10-ს. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების პირდაპირი სამხედრო ხარჯები შეადგენს 50 მილიარდ დოლარს. მიმოხილვის ერთ-ერთი დიაგრამა ცხადყოფს, რომ ყოველი ასიგნებული დოლარის 70 ცენტი სამხედრო ხარჯებს მოხმარდება.

კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პროგრამის ხარჯები შეადგენს 41.600 მილიონ დოლარს 1950 წლის 12 მილიარდ 300 მილიონთან შედარებით. ასიგნობანი „უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის“ პროგრამისათვის შეადგენს 5 მილიარდ დოლარს, ამასთან, როგორც ცნობილია, ამ სახსრების უდიდესი ნაწილი გათვალისწინებულია სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებისათვის. ასიგნობანი ატომის ენერგიის დარგში მუშაობისათვის, რომლებსაც ბიუჯეტი სამხედრო ხარჯებს მიაკუთვნებს, შეადგენენ 2.300 მილიონ დოლარს, 500 მილიონით მეტს, ვიდრე შარშან.

უნდა აღინიშნოს, რომ ასიგნობათა უმნიშვნელო შემცირება, რაც მოხდა თავდაცვის სამინისტროს და „ურთიერთუზრუნველყოფის“ პროგრამის ხაზით, ჭარბად იფარება ეგრეთწოდებული „გარდამავალი თანხებით“ („გარდამავალი თანხები“ იქმნება იმის შედეგად, რომ კონგრესის მიერ დამტკიცებულ ასიგნობებს არ იყენებენ და დაუხარჯავი თანხების ნაშთი არ უქმდება. — **რედ.**).

სამოქალაქო საჭიროებათა ხარჯები, რომელთა ნაწილიც შემცირდა „სახსრების ეკონომიისათვის“, მეტად უმნიშვნელოა. სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის საჭიროების ხარჯები შეადგენს 2.600 მილიონ დოლარს — იმ ასიგნებებზე 7 მილიონი დოლარით ნაკლებს, რაც წარადგინა ყოფილმა პრეზიდენტმა ტრუმენმა ამა წლის იანვარში. ომის ვეტერანებისათვის დახმარების პროგრამა შემცირდა 86 მილიონი დოლარით წინა სამიუჯეტო წელთან შედარებით. განათლების ხარჯები შეადგენს 276 მილიონ დოლარს, საინარო მშენებლობის საჭიროებისათვის ასიგნებულია სულ 7 მილიონი დოლარი. სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის გათვალისწინებულია 242 მილიონი დოლარით ნაკლები, ვიდრე შარშანდელ საფინანსო წელს, ხოლო სხვადასხვა „მუშათა პროგრამებისათვის“ (სუბსიდიები უმუშევართათვის და სხვ.) — 14 მილიონი დოლარით ნაკლებია.

მიმოხილვის მიხედვით, შეერთებული შტატების 1953-1954 საფინანსო წლის გადასინჯული ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი შეადგენს 68.305 მილიონ დოლარს. ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის 34 მილიარდ 870 მილიონ დოლარს ამერიკელი გადასახადის გადამხდელები იხდიან, როგორც პირდაპირ გადასახადს — ერთნაირი მილიარდი დოლარით მეტს, ვიდრე შარშანდელ საფინანსო წელს.

ბიუჯეტი ცხადყოფს, რომ მიუხედავად ხარჯების უმნიშვნელო — არსებითად ნორმალური შემცირებისა და შემოსავლის ერთგვარი გადიდებისა, რესპუბლიკურმა მთავრობამ თავიდან ვერ აიცდინა 1954 საფინანსო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა. მიმოხილვის მონაცემებით, შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალი 1954 საფინანსო წლის დამლევისათვის გადიდდება 266.071 მილიონი დოლარიდან 271.100 მილიონ დოლარამდე.

ავსტრიაში საბჭოთა ინფორმაციის სამსახურის ცნობა

ვენა, 29 აგვისტო. (საკდესი). ავსტრიაში საბჭოთა ინფორმაციის სამსახური შემდეგ ცნობას გადმოგვცემს:

ამა წლის 29 აგვისტოს გლეხების — ავსტრიაში საბჭოთა ქონების სამმართველოს მიწების წვრილ მოიჯარეთა დელეგაციამ, რომლებიც ამასწინანდელი სტაჭიური უბედურებით დაზარალდნენ კრემსისა და ტულნის მაზრებში, ინახულა ავსტრიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისარი ელჩი ი. ი. ილიჩოვი.

დაზარალებულ გლეხთა სახელით დელეგაციამ მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხელისუფლებს გაწეული დახმარებისათვის — საიჯარო ფასის მორიგი შესატანის, აგრეთვე ნარჩენების გადახდისაგან განთავისუფლებისათვის. დელეგაციამ სსრ კავშირის უმაღლეს კომისარს გადასცა სამადლობელი წერილი, რომელიც მიღებულია წვრილ მოიჯარე გლეხთა კრებაზე და რომელსაც ხელს აწერს გლეხთა 70 წარმომადგენელი.

ირანის ამბების გამო

პარიზი, 30 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანცელარიის მოხელემ განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი დოქტორი მოსადიკი მიცემულ იქნება სამხედრო სამართალში. მოხელემ დასძინა, რომ წინასწარ მოხდება „სამხედრო იუსტიციის რეორგანიზაცია და აპარატის წმენდა“.

თეირანი, 30 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „დონია“ წერს, რომ „სახალხო პარტიის წევრთა დაპატიმრება გრძელდება“ და ყოველ დღე დაპატიმრებულთაგან 100-მდე კაცი იგზავნება „ბაგერშაჰის“ საპყრობილეში“, გაზეთის სიტყვით, 29 აგვისტომდე დაპატიმრეს ამ პარტიის რამდენიმე ათასი წევრი.

ვიეტნამის სახალხო არმიის 7 წლის საომარი მოქმედების შედეგები

პეკინი, 29 აგვისტო. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო გადმოგვცემს, ვიეტნამის სახალხო არმიის გენერალურმა შტაბმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ 1946 წლის 19 დეკემბრიდან 1953 წლის 28 ივლისამდე მწყობრიდან გამოყვანილ იქნა მტრის 281.341 ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის მოკლულია 217.730 კაცი, აქედან 1.491 ოფიცერი; ტყვედ წამოყვანილი ან დანებებულია 63.611, აქედან 174 ოფიცერი.

წამოღებულია 66.265 მაშხანა, 714 ნაღმსატყორცნი, 136 საარტილერიო ქვემეხი, 92 საატირთო მანქანა, 15.629 ტყვიამფრქვევი, 260 „ბაზუკის“ თოფი და სხვ. ჩამოგდებულია 242 თვითმფრინავი, დაზიანებულია 263 გემი, 160 საარტილერიო ქვემეხი, მწყობრიდან გამოყვანილია 220 ორთქლმავალი, 788 რკინიგზის ვაგონი, 5.712-ტანაჯ, ჯავშანავტომობილი და საბრძოლო მანქანა, 107 გემი და მოსპობილია 4.110 ტონა საომარი მასალა.

მხავკრული ფილმების მე-14 საერთაშორისო ფესტივალზე ვენეციაში

რომი, 29 აგვისტო. (საკდესი). მხატვრული ფილმების მე-14 საერთაშორისო ფესტივალზე ვენეციაში ახლანდელი სტაჭიური უბედურებით დაზარალდნენ კრემსისა და ტულნის მაზრებში, ინახულა ავსტრიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისარი ელჩი ი. ი. ილიჩოვი.

ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე

ლონდონი, 30 აგვისტო. (საკდესი). 23 აგვისტოდან 13 სექტემბრამდე ედინბურგში (შოტლანდია) მიმდინარეობს მუსიკისა და დრამატული ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი და საერთაშორისო კინოფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობს 34 ქვეყანა, მათ შორის საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია.

საბჭოთა კინოხელოვნება ფესტივალზე წარმოდგენილია ორი კინოფილმით. „ოკეანის ყინულებში“ და „გლინკა“.

ინგლისის გაზეთები აქებენ ფილმს „ოკეანის ყინულებში“, რომელიც ფესტივალზე უჩვენეს სახელწოდებით „სიცოცხლე არქტიკაში“.

საჭადრაკო ტურნირი შვეიცარიაში

ნოიჰაუზენი, 29 აგვისტო. (**საკდესის სპეც. კორ.**). დღეს 18 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით ქალაქ ნოიჰაუზენის „ქალაქი სახლში“ საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიო ჩემპიონ მ. ბოტვინიკთან მატჩის პრეტენდენტების საჭადრაკო ტურნირი.

მონაწილეებს მიესალმნენ ქალაქის მერი ილი, საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი როგარდი და სხვები. შემდეგ მოხდა მონაწილეთა წილისყრა.

ხვალ 17 საათზე ადგილობრივი დროით გაიმართება პირველი ტური, რომელშიც ერთმანეთს ხვდებიან ტაიმანოვი—ბრონშტეინი, ნაიდორფი—რეშევსკი, პეტროსიანი—კერესი, ავერბახი—სმისლოვი, საბო—გელერი, ეივე—კოტოვი, შტალბერგი—ბოლესლავსკი.

თამაშისაგან თავისუფალია გლეგორიჩი.

ნოიჰაუზენი, 30 აგვისტო. (საკდესი). მსოფლიო ჩემპიონ მ. ბოტვინიკთან მატჩის პრეტენდენტთა საჭადრაკო ტურნირის პირველი ტურის შვიდივე პარტია განსაკუთრებული დაძაბული ბრძოლით მიმდინარეობდა.

ეივე—კოტოვის პარტიაში საბჭოთა გროსმაისტერმა შუა თამაშში შესწირა ხარისხი და იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის მეფეზე. მაგრამ ეივემ მოახერხა თავის დაცვა. შემდეგ ჰოლანდიელი გროსმაისტერი თვითონ გადავიდა შეტევაზე და გამარჯვება მოიპოვა.

ნაიდორფი—რეშევსკის პარტიაში მოწინააღმდეგენი მწვავე პოზიციაში ყველა მაყურებლისათვის მოულოდნელად შეთანხმდნენ ყაიმზე. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე საბჭოთა გროსმაისტერების ავერბახისა და სმისლოვის შეხვედრა. ოთხი პარტია გადაიდო.

ხვალ გაიმართება მეორე ტური, რომელშიც შეხვდებიან კოტოვი—შტალბერგი, გელერი — ეივე, სმისლოვი—საბო, კერესი—ავერბახი, რეშევსკი—პეტროსიანი, ბრონშტეინი — ნაიდორფი და გლეგორიჩი—ტაიმანოვი.

ფეხბურთი

ალბანეთის ნაკრები — „სპარტაკი“ (მოსკოვი)

30 აგვისტო. მოსკოვის „დინამოს“ სტადიონი კვლავ სავსე იყო სპორტის მოყვარულებით. აქ გაიმართა მორიგი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფ ალბანეთის ნაკრებ გუნდსა და ჩვენი ქვეყნის 1952 წლის ჩემპიონის დედაქალაქის „სპარტაკს“ შორის.

ასპარეზობა დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0. შეჯიბრება გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ვილნიუსი)

ვილნიუსი, 30 აგვისტო. აქ გაიმართა „ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი ასპარეზობა საბჭოთა კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ თბილისის „დინამოსა“ და ვილნიუსის „სპარტაკის“ გუნდები.

პირველი წუთებიდანვე მოედანზე დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. ანგარიში მე-7 წუთზე სპარტაკელებმა გახსნეს, რასაც თბილისელებმა გაძლიერებული თამაშით უპასუხეს და 23-ე წუთზე სპასუხო ბურთი გაიტანეს სპარტაკელთა კარში. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ 1:1.

მეორე ტაიმში მოწინააღმდეგენი მთელი ენერგიით ცდილობდნენ ანგარიშის გადიდებას, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო ბურთის გატანა. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1.

თბილისის „დინამოს“ 19 თამაშიდან შეგროვილი 27 ქულით უზრუნველყოფილი აქვს მეორე ადგილი. მოსკოვის დინამოელებს უკეთეს შემთხვევაში 26 ქულის შეგროვება შეუძლიათ.

„ზენიტი“ (კუიბიშევი) — „დინამო“ (კიევი)

30 აგვისტოს კუიბიშევში თამაშობდნენ ადგილობრივი „ზენიტისა“ და კიევის „დინამოს“ გუნდები. გაიმარჯვეს კიევის დინამოელებმა ანგარიშით 1:0.

„დინამო“ (ქუთაისი) — „ტორპედო“ (გორკი)

ყოველწლიურ სასპორტო ასპარეზობათა შორის დიდ ინტერესს იწვევს სსრ კავშირის თასს გათამაშება ფეხბურთში.

დამთავრდა სარაინონო, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური თასის გათამაშება. დაიწყო რესპუბლიკების თასის გათამაშებაში გამარჯვებულთა შეხვედრა „ბ“ კლასის გუნდებთან.

კვირას, 30 აგვისტოს, ქუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ გორკის „ტორპედოსა“ და ქუთაისის „დინამოს“ გუნდები.

შეჯიბრების პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა ფრედ 0:0. მეორე ტაიმში დინამოელებმა რამდენიმე იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და მე-20 წუთზე გახსნეს ანგარიში. ბურთი გაიტანა მარჯვენა გარემარბმა ბ. მექვაბიშვილმა.

დარჩენილ წუთებს შედეგი არ მოუტია. შეჯიბრება მოიგეს ქუთაისის დინამოელებმა ანგარიშით 1:0. მორიგ შეჯიბრებას სსრ კავშირის თასზე ქუთაისის „დინამო“ გამართავს 7 სექტემბერს ტაშკენტში.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. მიხეილ ალექსის-ძე **მენშიკოვი** დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ინდოეთში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ივანე ალექსანდრეს-ძე **ბენედიქტოვი** გაათავისუფლა ინდოეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საკავშირო შეჯიბრებაში მცხეთელმა სპორტსმენებმა ი. მრევლიშვილმა და ა. ოხონაშვილმა ორმოსასმელიანი ბაიდარებით ნიჩბოსნობაში 500 მეტრზე მეორე ადგილი დაიკავეს.

სურათზე: ი. მრევლიშვილი და ა. ოხონაშვილი მცხეთის წყალჯომარდობის სადგურზე ვარჯიშის დროს.

ფოტო ვ. ზარიძისა.

ახალი სიმღერები და ცეკვები

წელს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა შეიძინა კომპოზიტორების რ. ლაღიძის — „სიმღერა საშობლოზე“, ს. მირიანაშვილის — „სიმღერა საქართველოზე“, შ. მელორაკეს — „ყოველ ოჯახში მისი სითბოა“ და სხვა სიმღერები.

ქორეოგრაფმა მ. შუბაშიკელმა თანამედროვე თემაზე შეიმუშავა ახალი, ლამაზი ცეკვა — „სამეორის ველზე“ (მუსიკა მ. ჩიჩინაშვილისა, ტექსტი ი. ნონეშვილისა). ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა იგი შესასწავლად გაუგზავნა თვითმოქმედ კოლექტივებს.

სასამართლოს დარბაზიდან

რეციდივისტი

საღამოს 7 საათია. მნათობის ქუჩაზე სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა მიუახლოვდა ავტომანქანა „პობედას“ და მძღოლს მ-ს თხოვნით მიმართა:

— თუ შეიძლება, ნათესავი მყავს ფეხმძიმედ და საავადმყოფოში გადამაყვანინე...

ავტომანქანის პატრონი დაეთანხმა. გაიარეს რამდენიმე კილომეტრი. უცებ მგზავრმა იარაღი ამოიღო და მძღოლს მუქარით მოსთხოვა მაჯის საათი და ფული, შემდეგ უბრძანა პირქვე დაწოლილიყო მიწაზე და ხმა არ ამოეღო.

გავიდა რამოდენიმე დღე. იგივე ახალგაზრდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ამხანაგის თანხლებით კვლავ ახერხებს მძღოლის მოტაცებას და გაძარცვას.

მილიციის მუშაკებმა ბანდიტ-რეციდივისტი შეიპყრეს. მისი საქმე ამ დღეებში გაარჩია მოლოტოვის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლომ.

როგორც სასამართლო პროცესზე გამოირკვა, რეციდივისტი ო. ჩანადირი არავ